

შპს ეკოსერვის ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ეკოსერვის ჯგუფი“.....	3
მოსაზრება.....	3
მოსაზრების საფუძველი.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების ანგარიში.....	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	12
1. ზოგადი ინფორმაცია.....	12
2. მომზადების საფუძვლები.....	13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	30
4- ფიქსირებული აქტივები.....	32
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	33
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	33
7. მარაგები.....	34
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	34
9. გადასახდელი გადასახადები.....	35
10. შემოსავალი.....	35
11. პირდაპირი ხარჯები.....	35
12. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა.....	36
13 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	39
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	40

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-სგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ეკოსერვის ჯგუფი“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეფასოს, აქვს თუ არა შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენონ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს,

ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საზოგადოების შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა საზოგადოება გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმოებმა. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

- კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულების და საქმიანობების ინდივიდუალურ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების

შპს ეკოსერვის ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის



გამოსახატავად. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, ხელმძღვანელობას ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადგებ, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

გარიგების პარტნიორი სალომე კიკნაძე

შპს „თიჯიეს-კკ ჯგუფის“ სახელით

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

18 აგვისტო 2020 წ.



შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	5	2,140,518	10,051,247
სავაჭრო მოთხოვნები	6	121,986	4,290
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	771,973	442,743
წინასწარ გადახდილი ხარჯები	8	1,144,488	555,691
ჯამურად მიმდინარე აქტივები		4,178,965	11,053,971
ფიქსირებული აქტივები	4	7,170,430	1,835,990
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		7,170,430	1,835,990
სულ აქტივები		11,349,395	12,889,961
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	9	82,017	39,155
გადასახდელი გადასახადები	10		58,404
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		82,017	97,559
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		4,378,360	-
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		4,378,360	-
სულ ვალდებულებები		4,460,377	97,559
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,242,516	17,242,516
გაუნაწილებელი მოგება		10,353,498	4,450,114
სულ კაპიტალი		6,889,018	12,792,402
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,349,395	12,889,961

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვახტანგ ნოზაძე

18 აგვისტო 2020

თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

მალვა შოშიაშვილი

18 აგვისტო 2020

თბილისი, საქართველო

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2019წ.	12 თვე, 2018წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	1,565,026	98,094
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი		80,550	468,741
სულ შემოსავალი		1,645,576	566,835
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		825,389	289,621
სულ თვითღირებულების ხარჯები		825,389	289,621
მთლიანი მოგება		820,187	277,214
საოპერაციო ხარჯები	12	6,850,610	4,474,213
ცვეთის ხარჯი		753,068	309,100
სულ საოპერაციო ხარჯები		7,603,678	4,783,313
არასაოპერაციო მოგება		880,955	55,985
არასაოპერაციო ზარალი		848	
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		880,107	55,985
მოგება დაბერვრამდე		(5,903,384)	(4,450,114)
მოგების გადასახადი		-	
წმინდა მოგება		(5,903,384)	(4,450,114)

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
ვახტანგ ნოზაძე
 18 აგვისტო 2020
 თბილისი, საქართველო



შ. ჯ. ჯ.
 მთავარი ბუღალტერი
შალვა შოშიაშვილი
 18 აგვისტო 2020
 თბილისი, საქართველო

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიში
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	17,242,516	-4,450,114	12,792,402
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,242,516	-4,450,114	12,792,402
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	- 5,903,384	- 5,903,384
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,242,516	- 10,353,498	6,889,018

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
 ვახტანგ ნოზაძე
 18 აგვისტო 2020
 თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
 შალვა შოშიაშვილი
 18 აგვისტო 2020
 თბილისი, საქართველო

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

ფულადი ნაკადების ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31/12/2019	31/12/2018
მოგება დაბეგრვამდე	5,903,384	4,450,114
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	753,068	309,100
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	5,150,316	4,141,014
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	117,697	4,290
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	329,230	442,743
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	588,798	555,691
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	42,862	39,155
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	58,404	58,404
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	6,201,582	5,046,178
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	6,087,507	2,145,090
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	6,087,507	2,145,090
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა		17,242,516
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდა	4,378,360	
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	4,378,360	17,242,516
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	7,910,730	10,051,247
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	10,051,247	
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,140,517	10,051,247

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვახტანგ ნოზაძე

18 აგვისტო 2020

თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

შალვა შოშიაშვილი

18 აგვისტო 2020

თბილისი, საქართველო

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2018 წლის 22 თებერვალს. საიდენტიფიკაციო კოდი: 404553666. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო N 8 (ნაკვეთი 4/27).

კომპანიის ძირითად საქმიანობის საგანს წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული დანართ 1-ში ჩამოთვლილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შემთხვევაში ასევე სხვა) გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა, კერძოდ:

ა) გამწვანებული ტერიტორიების და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობა, მათ შორის:

ა.ა. ნიადაგის მომზადება დარგვისათვის ან თესვისათვის, სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის მოჭრა და გატანა, ნიადაგის ნოყიერი ნაზავის მიწოდება, გაშლა და მოსწორება, ნიადაგის გადabარვა და მოსწორება (პლანირება), მულჩირება, მოხრეშვა;

ა.ბ) მწვანე ნარგავების დარგვა და გადარგვა;

ა.გ) გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა რომელიც მოიცავს: გაზონის, ხეიარა მცენარეების, საყვავილე თარგების (ყვავილნარი), ხეების, ბუჩქების (მათ შორის, ტროტუარი), ქოთნის მცენარეების მოვლას, ტერიტორიის გათიბვას;

ა.დ) ხეების ფორმირებითი, სანიტარული და გამაახალგაზრდავებელი სხვა; ა.ე. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებში მონაწილეობა სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში;

ა.ვ) გამწვანებულ ტერიტორიებზე ყინვისადმი არამდგრადი მცენარეების შეფუთვა, გაზონებისა და ყვავილნარების მოვლა პატრონობა, თბილისის ტერიტორიაზე არსებული ვერტიკალური გამწვანების (მცენარეების) მოვლა-პატრონობა;

ა.ზ) მოვლითი ჭრების განხორციელება, მათ შორის დამფუძნებლის დავალების შემთხვევაში;

ა.თ) სარწყავი სისტემების აღდგენა, მოწყობა და რეაბილიტაცია; ა.ი) თბილისის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და მოწყობა;

ა.კ) სოკოს ფორმის სასმელი წყაროების მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და მოწყობა;

ა.ლ) რეტერატების მოვლა-პატრონობა;

ბ) ფიტოსანიტარიული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის:

ბ.ა) მწვანე ნარგავების ფიტოსანიტარიული კვლევა; ბ.ბ) მწვანე ნარგავების ბიოლოგიური და ქიმიური დაცვა მავნებელი დაავადებებისაგან და შესაბამისი მოვლითი ღონისძიებები, საჭიროებიდან გამომდინარე სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება;

ბ.გ) ხმელი ხეების მოჭრა, კუნძის ამოღება, დამუშავება და გატანა; ბ.დ) დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი, გადაბერებული (ამორტიზებული) და ავარიული ხეების მოჭრა;

ბ.ე) სპეციალური ჭრების განხორციელება, გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მწვანე ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტების ფარგლებში, მესამე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების ზედამხედველობა; დ) მუნიციპალური სანერგეების მოვლა-პატრონობა და განვითარება; ე) მოჭრილი მწვანე ნარგავებისა და მწვანე ნარჩენების მართვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში;

3.2 კომპანიას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

კომპანიის დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (სნ 204521794)-100%.

კომპანიას საბანკო ანგარიშები ერიცხება შემდეგ ბანკებში:

- ✓ სს „ლიბერთი ბანკი“- გახსნის თარიღი 23.02.2018 დახურვის თარიღი 20.11.2019წ.
- ✓ სს „თიბისი ბანკი“-23.09.2019 წლიდან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა შეადგენს 366-ს.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირია - ვახტანგ ნოზაძე (პნ 01023006125).

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „ფას“) პირველად გამოყენება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ არის პირველი ანგარიშგებაა, რომელიც საზოგადოებამ ფასს-ის მიხედვით მოამზადა. შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სათანადო ფასს-ების მოთხოვნათა დაცვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესაბამისი პერიოდის შედარებად მონაცემებთან ერთად. საზოგადოებამ წარადგინა წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგება.

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოიცა კონკრეტული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა კომპანიის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ და რომლებიც კომპანიას ადრე არ გამოუყენებია.

ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კაპიტალის დაბანდება - ცვლილებები ფასს 10 - ში და ბასს 28 - ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ს აბჟოს (IASB) მიერ) . აღნიშნული ცვლილებები ეხება შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ს მოთხოვნებს შორის ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან ან დაბანდებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილებების მთავარი შედეგი არის ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნეს საქმიანობას. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარებულია როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნეს საქმიანობას, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია. კომპანია ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 16, იჯარები (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2019 წლის 1 იანვარს). ახალი სტანდარტები განსაზღვრავს იჯარების აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპებს. ყველა იჯარა მოითხოვს მოიჯარისგან აქტივის გამოყენების უფლების მოპოვებას იჯარის ვადის დასაწყისში, და იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო გადასახადების გადახდა ხორციელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე ფინანსური ვალდებულებას. შესაბამისად ფასს 16 გამორიცხავს იჯარების კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარებად ან ფინანსურ იჯარებად, როგორც მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად ნერგავს მოიჯარის აღრიცხვის ერთიან მოდელს. მოიჯარეები ვალდებული არიან აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისთვის 12 თვეზე მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა ცალკე საიჯარო ვალდებულებების პროცენტისგან მოგება / ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 16 ითვალისწინებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნების არსებითად გადატანას ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს იჯარების კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარებად და ფინანსურ იჯარებად და აღნიშნული ორი ტიპის იჯარის აღრიცხვას განსხვავებულად. კომპანია ამყამად აფასებს აღნიშნული ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასიკ 23 "გაურკვევლობა მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმში" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის , რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) ბასს 12 განსაზღვრავს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს და არა გაურკვევლობის შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განმარტავს ბასს 12-ში აღიარების და შეფასების მოთხოვნების გამოყენების წესს, მოგების საგადასახადო რეჟიმში გაურკვევლობის არსებობის შემთხვევაში. საწარმომ უნდა განსაზღვროს ცალკე განიხილოს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი თუ სხვა ერთ ან მეტ სხვა გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზეც უკეთ მოახდენს მის პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც მას აქვს და ექნება სრული ინფორმაცია ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმო დაასკვნის, რომ ნაკლებ სავარაუდოა საგადასახადო ორგანოებმა მიიღონ გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო შეღავათების ან

საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისას, ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ მოახდენს მის პროგნოზირებას. საწარმო ასახავს ცვლილების ეფექტს ფაქტებსა და გარემოებებში ან ახალი ინფორმაციის ეფექტს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციის მიერ მოთხოვნილ დასკვნებზე ან შეფასებებზე სააღრიცხვო შეფასებაში ცვლილების სახით. ახალი ინფორმაციის ან ცვლილებების მაგალითები ფაქტებსა და გარემოებებში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დასკვნის ან შეფასების გადაფასება, მოიცავს და არა მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ შემოწმებებს ან ქმედებებს, ცვლილებებს საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილ წესებში ან საგადასახადო ორგანოს მიერ დაბეგვრის რეჟიმის გადახედვის ან განმეორებით გადახედვის უფლების ამოწურვას. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება, ცალკე აღებული, სავარაუდოდ არ მოიცავს ცვლილებას ფაქტებში და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დასკვნებსა და შეფასებებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წინასწარ გადახდის თავისებურებები უარყოფითი ანაზღაურებით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის , რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები ითვალისწინებს კონკრეტული სესხების და სავალო ფასიანი ქაღალდების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა მომზადდეს ამორტიზირებულ ღირებულებაზე დაბალ თანხად, მაგალითად რეალური ღირებულებით ან იმ თანხით, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომელიც შეადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის მიმდინარე ღირებულებას ინსტრუმენტის დარჩენილ ვადაში. გარდა ამისა, სტანდარტის დასკვნის საფუძველზე დამატებული ტექსტი დამატებით ადასტურებს არსებულ სახელმძღვანელო პრინციპს ფასს 9-ში, რომ ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული კონკრეტული ფინანსური ვალდებულებების მოდიფიკაციები ან გაცვლები, რომელიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს მოგებას ან ზარალს მოგება-ზარალში. ანგარიშვალდებულ ორგანიზაციებს უმეტეს შემთხვევაში არ ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სესხის დანარჩენ ვადაში მოგებაზე ან ზარალზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სესხის მოდიფიკაციის შემდეგ. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 28- ში „ გრძელვადიანი ინტერესები მკავშირე და ერთობლივ საწარმოებში “ (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წიური პერიოდებისთვის , რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) ცვლილებები ცხადყოფს, რომ ანგარიშვალდებულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ფასს 9 გრძელვადიან სესხებზე, პრივილეგირებულ აქციებზე და მსგავს ინსტრუმენტებზე, რომელიც ქმნის წმინდა ინვესტიციის ნაწილს წილობრივი მონაწილეობის მეთოდით, სანამ ისინი შეძლებენ შეამცირონ აღნიშნული საბალანსო ღირებულება ინვესტიციის ობიექტის ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტიციების წილის ოდენობას ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია თვლის, რომ აღნიშნული ცვლილებები არსებით გავლენას არ მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წლიური გაუმჯობესებები ფასს - ებში 2015-2017 წლების ციკლში – შესწორებები ფასს 3 - ში, ფასს 11 - ში, ბას 12 - ში და ბას 23 ში (გამოიცა 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ)

ვიწრო ფარგლების მქონე ცვლილებები გავლენას ახდენს ოთხ სტანდარტზე. ფასს 3 განმარტავს, რომ შემშენმა თავიდან უნდა შეაფასოს თავისი მანამდე ფლობილი წილი ერთობლივ საქმიანობაში, როდესაც მოიპოვებს კონტროლის უფლებას კომპანიაზე. ხოლო ფასს პირიქით ზუსტად განმარტავს, რომ ინვესტორმა არ უნდა გადააფასოს მისი მანამდე ფლობილი წილი როდესაც მოიპოვებს კონტროლის უფლებას ერთობლივ საქმიანობაზე, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც ასოცირებული პირი ხდება ერთობლივი საწარმო ან პირიქით. შესწორებული ბასს 12 განმარტავს, რომ საწარმო აღიარებს დივიდენდების ყველა მოგების გადასახადის შედეგებს, როდესაც აღიარებს იმ გარიგებებს ან მოვლენებს, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული გასანაწილებელი მოგება, მაგალითად მოგებაში ან ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ცხადია, რომ აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება ყველა გარემოებაში, რამდენადაც გადახდები ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც კლასიფიცირებულია კაპიტალად, წარმოადგენს მოგების განაწილებას და არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგები წარმოადგენს განაწილებული და გაუნაწილებელი მოგებების სხვადასხვა საგადასახადო განაკვეთების შედეგს. რედაქტირებული ბასს 23 მოიცავს ზუსტ სახელმძღვანელო მითითებას, რომ სპეციალურად განსაზღვრული აქტივის დაფინანსებისთვის მოპოვებული სასესხო სახსრები ამოღებულია საერთო სასესხო ხარჯების პულიდან, რომლის კაპიტალიზაცია ნებადართულია მხოლოდ მანამ, სანამ კონკრეტული აქტივი არსებითად სრული არ იქნება. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 19 - ში “ გეგმის ცვლილება , შემცირება ან ანგარიშსწორება ” (გამოიცა 2018 წლის 7 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) ცვლილებები მიუთითებს როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები, როდესაც განსაზღვრული გადახდების საპენსიო გეგმაში განხორციელდება ცვლილებები. როდესაც გეგმაში - ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება - ხორციელდება, ბასს 19 მოითხოვს დადგენილი გადახდების საპენსიო გეგმის წმინდა ვალდებულების ან აქტივის გადაფასებას. აღნიშნული ცვლილება მოითხოვს ზემოხსენებული გადაფასების შედეგად განახლებული დაშვებების გამოყენებას მიმდინარე მომსახურების ღირებულების და წმინდა პროცენტის განსაზღვრისთვის ანგარიშგების დანარჩენ ვადაში გეგმაში ცვლილების შეტანის შემდეგ. ცვლილებების განხორციელებამდე ბასს 19 არ განმარტავდა აღნიშნული ხარჯების განსაზღვრის წესს მოცემული პერიოდისთვის ცვლილების განხორციელების შემდეგ. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით, ცვლილებები სასარგებლო ინფორმაციას მიაწვდის ფინანსური ანგარიშგების მოხმარებლებს. იქნება. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) გადახედული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელოს ფინანსური ეფექტურობის ანგარიშგების შესახებ; გაუმჯობესებულ დეფინაციებს და სახელმძღვანელო მითითებებს - კერძოდ ვალდებულების დეფინაციას; და განმარტებებს მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ხელმძღვანელობის ფუნქციები, გონივრულობა და შეფასების გაურკვევლობები ფინანსურ ანგარიშგებაში.

საწარმოს განსაზღვრება – ცვლილებები ფასს 3 - ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შესყიდვებისთვის წლიური ანგარიშგების პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც აითვლება 2020 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ) აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს საწარმოს განსაზღვრების გადახედვას. საწარმოს უნდა ჰქონდეს რესურსები და არსებითი პროცესები, რომლებიც ერთობლივად გამოიყენება პროდუქციის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანის სახით. ახალი სახელმძღვანელო წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც შეაფასებს როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის დამწყები კომპანიებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ შექმნილი პროდუქცია. ორგანიზებული საშუალო ძალა წარმოადგენს საწარმოდ კლასიფიკაციის პირობას პროდუქციის არარსებობის შემთხვევაში. ტერმინის „პროდუქცია“ განმარტება

შემოიფარგლება კლიენტისთვის გაწეულ მომსახურებებზე და საქონელზე ფოკუსირებით, რომელსაც მოაქვს საინვესტიციო შემოსავალი და სხვა შემოსავალი და არ მოიცავს შემოსავლებს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებელის სახით. ასევე აღარ არის საჭირო შეფასდეს შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს გამოტოვებული ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობების და აქტივების ინტეგრაცია. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენს საწარმოს იმ შემთხვევაში, თუ არსებითად ყველა შეძენილი აქტივის რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ცვლილებები არის სამომავლო და კომპანია გამოიყენებს მათ მათი გავლენის შესაფასებლად 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განსაზღვრება – ცვლილებები ბ ასს 1 - ში და ბასს 8 - ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) აღნიშნული ცვლილებები განმარტავს არსებითის განსაზღვრებას და როგორც უნდა იქნას ის გამოყენებული განსაზღვრების სახელმძღვანელოში შეტანით, რომელიც მოცემულ მომენტამდე წარმოდგენილია სხვადასხვა ნაწილებში ფასს-ში. გარდა ამისა გაუმჯობესდა განმარტებები, რომელიც თან ერთვის განსაზღვრებას. და ბოლოს აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ არსებითის განსაზღვრება შეესაბამება ყველა ფასს სტანდარტს. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვება, უზუსტობა ან გაურკვევლობა სავარაუდოდ გავლენას მოახდენს იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები მიიღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ორგანოს შესახებ. იქნება. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ სხვაგვარად არ არის ზემოთ განსაზღვრული, არ არის მოსალოდნელი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ყველა პერიოდთან მიმართებაში,

ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საზოგადოებ საქმიანობს. უცხოურ ვალუტაში საზოგადოებას არ აქვს განხორციელებული ფინანსური ოპერაციები.

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის არის განხორციელებული გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული დანართ 1-ში ჩამოთვლილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შემთხვევაში ასევე სხვა) გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობას.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობას. თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს კომპანიის მიერ მისთვის მომსახურების მიწოდებამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს გაფორმებულ ხელშეკრულებას.

(გ) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები

საქართველოში და რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად, ასევე როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას. ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც ადგილი აქვს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, რომლებიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგების წინასწარ გადახდილი გადასახადების ან სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

(დ) აქტივების და ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

საზოგადოების აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
 - ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
 - მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
 - აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.
- ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საზოგადოება გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. საზოგადოება ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც საზოგადოებამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS)15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

საზოგადოების ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს საზოგადოება თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, რომლის დროსაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება

გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც საზოგადოება იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით;
- სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნეს მოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები არა წარმოებული ფინანსური აქტივებია, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარდება საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- ამოიწურება აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა; ან
- კომპანია დათმობს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ანდა იტოვებს ამგვარ უფლებას, მაგრამ აიღებს მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას „შეთანხმების“ საფუძველზე; ან

(ა) კომპანია გადასცემს აქტივთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს;

(ბ) კომპანია არც გადასცემს და არც დაიტოვებს აქტივთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მაგრამ გადასცემს აქტივზე კონტროლს.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. როდესაც კომპანიას არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და არც აქტივზე კონტროლი აქვს გადაცემული, ის აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას იმდენად, რამდენადაც კომპანიამასში იქნება ჩართული. ასეთ შემთხვევაში კომპანიი ამასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრულია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება მოიცავს მიღებულ ავანსებს და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთ გადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება, ხოლო წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი

მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის, ან ერთდროულად – აქტივების რეალიზაციის და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა.

(iv) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება ხდება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებების შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.

- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივების და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის, საზოგადოებამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ეს ღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ხარჯს, ხარჯის გაწევის დროს, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორც არის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთების გამოყენებით:

შენობა-ნაგებობა	5 %
სატრანსპორტო საშუალებები	20-40 %
სხვა ძირითადი საშუალებები	15%-30%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ზ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე ან შეთანხმება იძლევა აქტივების გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება არ არის მკაფიოდ აღნიშნული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

თვითღირებულება განისაზღვრება „საშუალო შეწონილი“ („Average“) მეთოდით. არარეალიზებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები სრულად ჩამოიწერება ან ასიგნირდება.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკებში.

კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ნებისმიერ ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ანაზღაურების თანხის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. თუმცა, ამ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლებიც არსებით ცვლილებას მოითხოვს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში, რაც მომავალ პერიოდებში იქნება გამოწვეული.

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან

დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საზოგადოება მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ. მომზადების ეს საფუძველი გულისხმობს, რომ დამფუძნებელს შესწევს უნარი და აქვს განზრახვა გასწიოს ფინანსური დახმარება, რომელიც საზოგადოებას მისცემს საშუალებას განახორციელოს მისი აქტივების რეალიზაცია და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

(ii) სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება და დაკორექტირება წმინდა სარეალიზაციო ღირებულების მისაღებად

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ აღმოჩნდა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება ან თუ მოსალოდნელია მომავალ პერიოდში გარკვეული საქონლის გაყიდვა საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, ასეთი აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

(iii) უიმედო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. როგორც წესი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

4- ფიქსირებული აქტივები

	მიწის ნაკვეთი	შენიშნა ნაგებობები	მანქანა - დანადგარე ბი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	არამატერიალუ რი აქტივები	ჯამურად
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31/12/2018	-		215,793	1,623,813	279,637	25,847	2,145,090
დანამატები	3,674,900	703,460		1,559,008	156,478		6,093,846
აქტივების ჩამოწერა					6,338		6,338
ბალანსი 31/12/2019	3,674,900	703,460	215,793	3,182,821	442,453	25,847	8,232,598
აკუმულირებული ცვეთა							
ბალანსი 31/12/2018	-	-	1,714	254,564	51,299	1,523	309,100
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი	-	34,120	33,343	581,709	101,312	2,585	753,068
აქტივების ცვეთა							
ბალანსი 31/12/2019	-	34,120	35,057	836,273	152,611	4,107	1,062,168
წმინდა ღირებულება							
ბალანსი 31/12/2018		-	214,079	1,369,249	228,338	24,325	1,835,990
ბალანსი 31/12/2019	3,674,900	669,340	180,736	2,346,548	289,842	21,740	7,170,430

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიაში არ ხორციელდება ნაღდი ფულის მოძრაობა, ყველა ოპერაცია განხორციელებულია საბანკო ტრანზაქციებით. ფული და ფულის ექვივალენტები 2019-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ლარები საბანკო ანგარიშებზე	2,140,518	10,051,247
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	2,140,518	10,051,247
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	-	-
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	2,140,518	10,051,247

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		4,289.56
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2,388.10	
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	119,598.29	
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	121,986.39	4,289.56
<i>მინუს გაუფასურების რეზერვი</i>		
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	121,986	4,290

7. მარაგები

კომპანიის მარაგში ასახულია სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი, რომელიც გამოიყენება გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობისას. მარაგები 2019-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	31.12.2019	31.12.2018
სასაქონლო მატერიალური მარაგი	771,973	442,743
ჯამურად სასაქონლო-მატერიალური მარაგები	771,973	442,743

8. წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები 2019-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
წინასწარ გადახდილი საგადასახადო ვალდებულება	1,144,488	555,691
ჯამურად სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,144,488	555,691

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	61,721	33,919
მიღებული ავანსები		2,878
გადასახდელი ხელფასები	20,296	2,359

სულ კრედიტორული დავალიანება	82,017	39,155
-----------------------------	--------	--------

10. გადასახდელი გადასახადები

გადასახდელი გადასახადები 2019-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		58,404
სულ გადასახდელი გადასახადები	-	58,404

11. შემოსავალი

შემოსავლის არსებითი ნაწილი შედგება უძრავი ქონების რეალიზაციისგან, რომელიც 2019-2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ქ.თბილისის მერიაზე განხორციელებული მომსახურების ღირებულება	1,470,818.00	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	94,208.00	98,094.00
განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები		468,741.00
სულ შემოსავალი	1,565,026	566,835

12. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2019-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
დაქირავებულ პირთა გასამჯელო	4,686,385	2,741,608
საკონსულტაციო ხარჯი	17,356	2,611
საგადასახადო ხარჯი	57,995	7,454
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		624
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	1,589,127	1,411,174
იჯარის ხარჯი	16,452	3,138

სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	7,377	307,604
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	3,305	
საწვავის სარგებლის ხარჯი	124,789	
ოფისის მიმდინარე რემონტის ხარჯი	64,498	
საჯარო რეესტრის მომსახურების ხარჯი	1,746	
ავტომობილის დაზღვევის ხარჯი	28,640	
პროგრამული მომსახურება	8,629	
ავტომობილის რემონტის ხარჯები	149,413	
კომპიუტერის ხარჯები	6,228	
ექსპერტიზის ხარჯი	1,966	
საკანცელარიო ხარჯი	3,127	
საპენსიო სააგენტოს ხარჯი	65,673	
ჰიგიენური მასალების ხარჯი	14,097	
მივლინების ხარჯები	3,807	
სულ პირდაპირი ხარჯები	6,850,610	4,474,213

13. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, საზოგადოება დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების

ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	2019	2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	121,986	4,290
ფული და ფულადი ექვივალენტები	2,140,518	10,051,247
სულ ფინანსური აქტივები	2,262,504	10,055,537

ფინანსური ვალდებულებები	2019	2018
სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	82,017	39,155
სულ ფინანსური ვალდებულებები	82,017	39,155

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის

შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

საკრედიტო რისკი		
ფინანსური აქტივები	2019	2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	121,986	4,290
ფული და ფულადი ექვივალენტები	2,140,518	10,051,247
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	2,262,504	10,055,537

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

14 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს არ განხორციელებულა ოპერაციები.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.



შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

2019 წლის მმართველობის ანგარიშგება



სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საფირმო სახელწოდება: შპს „ეკოსერვის ჯგუფი“;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404553666;

100% წილის მმართველი -საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი;

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 8;

ელექტრონული ფოსტა: info@ecosg.gov.ge;

ს ა რ ჩ ე ვ ი


1. დირექტორის მიმართვა.
2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა
3. კომპანიის ქონება და კაპიტალი
4. კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა
5. კომპანიის სტრუქტურა
6. კომპანიის მატერიალურ ტექნიკური ბაზა
7. კომპანიის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები
8. მიღწეული შედეგები და განვითარების გეგმები
9. სოციალური და დასაქმების საკითხები
10. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
11. გარემოს და ნარჩენების მართვა
12. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ძვირფასო პარტნიორებო, ფინანსური და
მმართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს
კანონის შესაბამისად წარმოგიდგენთ შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს 2019 წლის ანგარიშს



შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს დირექტორი:

ვახტანგ ნოზაძე

საქმიანობის ანგარიში

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში-კომპანია) შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (შემდგომში - მთავრობა) 2018 წლის 21 თებერვლის N18.8.66 განკარგულების საფუძველზე (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი - 2018 წლის 22 თებერვალი). კომპანია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით;

2019 წელს მოქმედი კომპანიის წესდების შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის საგანს, წარმოადგენდა თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული კომპანიის წესდებით განსაზღვრული (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შემთხვევაში ასევე სხვა) გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა, მათ შორის: ნიადაგის მომზადება დარგვისათვის ან თესვისათვის, სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის მოჭრა და გატანა, ნიადაგის ნოყიერი ნაზავის მიწოდება, გაშლა და მოსწორება, ყამირი მიწის მიწოდება, გაშლა და მოსწორება, ნიადაგის გადაბარვა და მოსწორება (პლანირება), მულჩირება, მოხრეშვა; კომპეტენციის ფარგლებში მწვანე ნარგავების დარგვა და გადარგვა; მწვანე ნარგავების ბიოლოგიური და ქიმიური დაცვა მავნებელი დაავადებებისაგან და შესაბამისი მოვლითი ღონისძიებები, საჭიროებიდან გამომდინარე სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება; მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებში მონაწილეობა სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მწვანე ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტების ფარგლებში, მესამე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების (მოვლა-პატრონობა) განხორციელების ზედამხედველობა, დამფუძნებლის დავალების შესაბამისად; გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა რომელიც მოიცავს: გაზონის, ხვარა მცენარეების, საყვავილე თარგების (ყვავილნარი), ხეების, ბუჩქების (მათ შორის, ტროტუარი), ქოთნის მცენარეების მოვლას, ტერიტორიის გათიბვას, რეტერატების მოვლა-პატრონობას; გამწვანებულ ტერიტორიებზე ყინვისადმი არამდგრადი მცენარეების შეფუთვა, ხმელი ხეების მოჭრა, კუნძის ამოღება, დამუშავება და გატანა, გაზონებისა და ყვავილნარების მოვლა პატრონობა, თბილისის ტერიტორიაზე არსებული ვერტიკალური გამწვანების (მცენარეების) მოვლა-პატრონობა; „ყვავილების საათის“ ტერიტორიაზე არსებული მცენარეების მოვლა-პატრონობა; ხეების ფორმირებითი, სანიტარული და გამაახალგაზრდაველები სხვა; სპეციალური ჭრების განხორციელება, მათ შორის დამფუძნებლის დავალების შემთხვევაში; დაავადებული, ზეხმელი, ხმოზადი, ფაუტი, გადაბერებული

(ამორტიზებული) და ავარიული ხეების მოჭრა, მოვლითი ჭრების განხორციელება; მოჭრილი მწვანე ნარგავებისა და მწვანე ნარჩენების მართვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში; მუნიციპალური სანერგეს მოვლა-პატრონობა და განვითარება; თბილისის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების მოვლა პატრონობა; სოკოს ფორმის სასმელი წყაროების მოვლა პატრონობა. კომპანიას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებით გათვალისწინებული.

კომპანიის ქონება და კაპიტალი

კომპანიის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობები, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისთვის.

კომპანიის ქონება შეიძლება იყოს: დამფუძნებლის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ქონება; კომპანიის მიერ შეძენილი ქონება; ქონების მიღების სხვა წყაროები, რაც არ იკრძალება მოქმედი კანონმდებლობით;

კომპანიის შემოსავლის წყაროებია: დამფუძნებლის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ფულადი სახსრები; საკუთარი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები; სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბანკების, სხვა საფინანსო დაწესებულებების, საწარმოების, გაერთიანებების, ფონდების, სპონსორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეულ პირთა შემოწირულობანი; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

კომპანიას დამფუძნებლის მიერ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული აქვს შემდეგი სახის უძრავი ქონება:

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)
1	შენობა ნაგებობა N1	ქ. თბილისი, ქუჩა სამღერეთი N3	01.12.14.096.009	187.47
2	შენობა ნაგებობა N2			187.8
3	შენობა ნაგებობა N3			321.49
4	შენობა ნაგებობა N4			1585.03
5	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			20131
6	შენობა ნაგებობა N2-ის მეორე სართულის ნაწილი	ქ. თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N76	01.14.10.002.050	174.66
7	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			მე-6 პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი

8	შენიშვნა ნაგებობა N1-ში მესამე სართულის ნაწილი			260.99
9	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)	ქ. თბილისი, ქუჩა სანაპირო N8	01.15.03.004.027	მე-8 პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი
10	შენიშვნა ნაგებობა N1			293.52
11	შენიშვნა ნაგებობა N2			298
12	შენიშვნა ნაგებობა N3	ქ. თბილისი, თბილისის ზღვა, სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ	01.12.10.007.042	275.86
13	შენიშვნა ნაგებობა N4			71.66
14	შენიშვნა ნაგებობა N5			19.92
15	შენიშვნა ნაგებობა N6			28.14
16	შენიშვნა ნაგებობა N7			1462.38
17	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			62252
18	ბინა N34			80
19	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)	ქ. თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი N30	01.10.17.023.001.00.01.503	18-ე პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი
20	ბინა N35			85.38
21	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)	ქ. თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი N36	01.10.17.023.001.01.01.035	20-ე პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი

კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა


კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას სრულად ახორციელებს დირექტორი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი (კომპანიის დირექტორი დანიშნულია მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N18.9.67 განკარგულების საფუძველზე), დირექტორი ინიშნება უვადოდ ან დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული ვადით.

კომპანიის დირექტორი: მოქმედებს კომპანიის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში; კომპანიის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს; კომპანიის მიზნების მისაღწევად იყენებს კომპანიის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ქონებას, მატერიალურ სახსრებს, წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იძენს და განკარგავს ქონებას, ამასთან კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივ და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე; ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს კომპანიის საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას; ამტკიცებს კომპანიის შინაგანაწესს,

საჭიროების შემთხვევაში თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებს; დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს; დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს საშტატო ნუსხას, შტატგარეშე თანამშრომელთა ზღვრულ ოდენობას და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს; დამფუძნებლის თანხმობით ამტკიცებს შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების ოდენობას; ნიშნავს და ათავისუფლებს კომპანიის თანამშრომლებს, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, ახდენს მათ შორის ფუნქციების გადანაწილებას, განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს; საჭიროების შემთხვევაში ქმნის საკონსულტაციო ორგანოებს (საბჭო, კომისია, სამუშაო ჯგუფი) და განსაზღვრავს მათ ფუნქციებს; დამფუძნებლის თანხმობით ამტკიცებს ლოგოს და სახვა ოფიციალურ სიმბოლიკას; დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ; ამტკიცებს კომპანიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს; დამფუძნებელთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კომპანიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებს; საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს და დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს კომპანიის მიერ გასაწევი მომსახურების ტარიფებს; კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ბრძანებებს; ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის სტრუქტურა წესდების შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგნაირად:



კომპანიის შინაგანაწესი (შემდგომში - „შინაგანაწესი“) შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზნებია: ა) კომპანიისათვის დაკისრებული ფუნქციების და ამოცანების სრულყოფილად განხორციელების ხელშეწყობა; ბ) შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა; გ) სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება; დ) სამსახურებრივ მოვალეობათა ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა; ე) დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენის ხელშეწყობა; ვ) დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრა; ზ) კონკურსის მეშვეობით დასაქმებულთა შერჩევისას კონკურსის ჩატარების ორგანიზება; თ) დასაქმებულთა წახალისებისა და დისციპლინური

პასუხისმგებლობის საკითხების განსაზღვრა; ი) კომპანიის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით დეტალურადაა გაწერილი თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობები, ხოლო დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ასევე დეტალურად განსაზღვრავს მათ სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმას.

კომპანიის მატერიალურ ტექნიკური ბაზა

ზემოაღნიშნული მიზნების უზრუნველსაყოფად დამფუძნებლის მიერ კომპანიის კაპიტალში 2018 წელს შეტანილი იქნა და უსასყიდლოდ გადაეცა მეორადი გამოყენების 26 ერთეული სპეციალური დანიშნულებისა ავტოსატრანსპორტო საშუალება და კომპანიის საქმიანობისთვის საჭირო სხვადასხვა სახის ძრავიანი მცირე მექანიზმი. გარდა აღნიშნულისა კომპანიამ დროის მოკლე პერიოდში (2018 წელსვე) შეძლო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და კვალიფიციური კადრების მოზიდვა, კერძოდ 2018 წლის პერიოდში შეძენილი იქნა 10 ერთეული გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე (ავსტრია VIKING); 20 ერთეული ბუჩქების ბენზოსაკრეჭი (12 ერთეული გერმანია STIHL და 8 ერთეული შვედეთი/Husqvarna); 60 ერთეული ბენზოცელი (გერმანია STIHL); 23 ერთეული ბადის ბენზო-მტვერსასრუტი შესრუტვის და დაბერვის ფუნქციით (შვედეთი/Husqvarna); 2 ერთეული ბენზოხერხი არბორისტის (შვედეთი/Husqvarna); 4 ერთეული ბენზოხერხი პროფესიონალური დანიშნულების (შვედეთი/Husqvarna); 5 ერთეული ტელესკოპური ბენზოხერხი რეგულირებადი ღერძით ხის გასასხლავად ((შვედეთი/Husqvarna); 5 ერთეული ტელესკოპური ბენზო ბუჩქების საკრეჭი (შვედეთი/Husqvarna); 1 ერთეული ექსკავატორ დამტვირთველი (JCB 3CX Eco Super Sitemaster); 4 ერთეული თვითმცლელი (3 ერთეული DAF LF და 1 ერთეული IVECO DAILY); 2 ერთეული ამწე კალათა (IVECO); 4 ერთეული თვითმცლელი (FORD TRANZIT), 1 ერთეული მიკროავტობუსი (MERCEDES SPRINTER); 2 ერთეული ხელის მოტობლოკი (კულტივატორი HYUNDAI GM135F) და 1 ერთეული KÄRCHER-ის ფირმის მაღალი წნევით რეცხვის აპარატი. ამასთან კომპანია აღიჭურვა მაღალი ხარისხის ხელსაწყოებით (როგორცაა მაგალითად ბარები, თოხები, ფოცხები და სხვა სახის ხელის ხელსაწყოები). კომპანიის თანამშრომლებისთვის შეძენილი იქნა თანამედროვე დიზაინისა და სპეციფიკაციის სპეც.ტანსაცმელი და დამცავი აღჭურვილობა.

რაც შეეხება 2019 საანგარიშო წელს, კომპანიის მიერ შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები და მატერიალური ფასეულობები, მათ შორის:

N	შესყიდული საქონლის			რაოდენობა	ღირებულება	ტენდერის ნომერი რის საშუალებითაც განხორციელდა შესყიდვა
	დასახელება	მწარმოებელი კომპანია	მარკა/მოდელი			
1	მსუბუქი ავტომობილი	TOYOTA	PRIUS	1	22222	NAT190023595
2	ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი მინი ექსკავატორ- დამტვირთველი	J C Bamford Excavators Limited.	JCB 1CX.	1	146174	NAT190004769
3	თვითმცლელი მისაბმელი	PALAZOGLU	TRA.S.1000	1	6500	NAT190007857
4	თვითმცლელი	MERCEDES-BENZ	VARIO 814D	1	35100	NAT190009313
5	ევაკუატორი	MERCEDES-BENZ	VARIO 814D	1	27000	NAT190009314
6	ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალება (ამწე კალათა)	IVECO	IVECO DAILY 70C15	2	406 740	NAT190015147
7	ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი თვითმცლელი	IVECO	IVECO DAILY 70C15	3	447 000	NAT190015147
8	ფურგონი	FORD	FORD TRANSIT	1	20300	NAT190022396
9	მიკროავტობუსი	FORD	FORD TRANSIT	1	27000	NAT190022571
10	არბორისტის ბენზოხეხი	Husqvarna	Husqvarna T435	8	6320	NAT190007231
11	პროფესიონალური დანიშნულების ბენზოხეხი	Husqvarna	Husqvarna 450	11	8701	NAT190007231
12	პროფესიონალური დანიშნულების ბენზოხეხი	Husqvarna	Husqvarna 372XP	6	8340	NAT190007231
13	ტელესკოპური ბენზოხეხი რეგულირებადი ღერძით ხის გასასხლავად	Husqvarna	Husqvarna 525PT5S	9	12105	NAT190007231
14	ბენზოსაკრეჭი (ბუჩქების)	Husqvarna	Husqvarna 226HD75S	7	7700	NAT190007231
15	ტელესკოპური ბენზო ბუჩქების საკრეჭი	Husqvarna	Husqvarna 325HE4	5	7075	NAT190007231
16	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	Husqvarna	Husqvarna LC140S	5	4195	NAT190011525
17	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	McCulloch	McCulloch M51-150 WR	12	10632	NAT190011525
18	ბენზოცელი	McCulloch	McCulloch B43 BT	20	11300	NAT190011525
19	ბენზოცელი	STIHL	STIHL FS 250	34	27200	NAT190015494
20	ბენზოცელი	STIHL	STIHL FS 560 C-EM	2	4940	NAT190015494
21	პროფესიონალური დანიშნულების ბენზოხეხი	STIHL	STIHL MS 462	13	22789	NAT190021739
22	პროფესიონალური დანიშნულების ბენზოხეხი	STIHL	STIHL MS 250	5	5005	NAT190021739

23	ბენზოსაკრეჭი (ბუჩქების)	STIHL	STIHL HS 82 T	10	13300	NAT190021739
24	ტელესკოპური ბენზო ბუჩქების საკრეჭი	STIHL	STIHL HL 92 C-E	5	7945	NAT190021739
25	ტელესკოპური ბენზოხერხი რეგულირებადი ღერძით ხის გასასხლავად	STIHL	STIHL HT 103	5	8315	NAT190021739
26	ბენზოცელი	STIHL	STIHL FS 250	39	33540	NAT190021821
27	ბენზოცელი	STIHL	STIHL FS 560 C-M	1	2770	NAT190021821
28	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	STIHL	STIHL RM 443 T	4	4880	NAT190021821
29	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	STIHL	STIHL RM 248 T	21	20979	NAT190021821
30	ბალის ბენზო-მტვერსასრუტი შესრუტვის და დაბერვის ფუნქციით	STIHL	STIHL SH 56	7	6993	NAT190022078
31	წყლის ტუმბო	HYUNDAI	3 HWP80	7	8540	NAT190014020
32	ჩადირული ძრავი "ამფიბია"	PEDROLLO	MC 30/50	10	23700	NAT190018436
33	ჩადირული ძრავი "ამფიბია"	PEDROLLO	BCM 15/50-N	10	11550	NAT190018436
34	ჩადირული ძრავი "ამფიბია"	SHIMGE	QDX30-6-0.75 K1	5	3750	NAT190018436
35	ტუმბო-ძრავით.	SHIMGE	SHFm 5AM	5	4970	NAT190018436
36	JCB 3CXS14M2NM მარკის ექსკავატორის თავსებადი 1 ცალი ჰიდრავლიკური საბურღი მექანიზმი, 3 ცალი ბურღის პირი და 1 ცალი პალეტის ასაწევი ჩანგალი.	Auger Torque Europe Ltd პალეტის ასაწევი ჩანგლები: J C Bamford Excavators Limited (JCB)	8000 MAX		34487	NAT190002544

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, შესყიდული იქნა 109217 ლარის პოლიეთილენის მილები, მფქვევანები, მილების შემაერთებლები და მილების სხვადასხვაგვარი არმატურა; 20500 ლარის სხვადასხვა სახის სასუქი და სხვა სახის მარაგები/მატერიალური ფასეულობები.

კომპანიის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

NAT190014530 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები საერთო ღირებულებით 58976 ლარი.

NAT190017248 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორპ. 325-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში ახალი შადრევნის მოწყობის სამუშაოები, ხოლო NAT190018149 და NAT190018205 ელექტრონული ტენდერების საშუალებით განხორციელდა მ. ჩიტაიას N1-ში ვ. ჭაბუკიანის სახელობის ბაღში (ლონდონის სკვერი) მდებარე შადრევნის, 300 არაგველის ბაღში მდებარე შადრევნის, ჟ.კალანდაძის სახელობის სკვერში მდებარე

შადრევნის (ქანდაკებით) და რუსთაველის ქ. N25-ში (ოპერის ბაღში) მდებარე შადრევნის (ქანდაკებებით) რეაბილიტაციის სამუშაოები. გარდა ჩამოთვლილისა, კომპანიის შიდა რესურსის საშუალებით მუდმივ რეჟიმში ხორციელდება დაზიანებულ შადრევნების აღდგენითი სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებულ სოკოს ფორმის სასმელი წყაროებზე დამონტაჟდა თანამედროვე დიზაინის მქონე სპეციალური ონკანები, რამაც გამოიწვია ერთის მხრივ მოხმარებული წყლის მნიშვნელოვანი ეკონომია, ხოლო მეორეს მხრივ ზემოაღნიშნული წყაროების ვიზუალური ხარისხის ამაღლება.

მიღწეული შედეგები და განვითარების გეგმები

ზემოაღნიშნულის შედეგად, 2019 წელს კიდევ უფრო მეტად ამაღლდა პარკების, გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის, შადრევნების და სოკოს ფორმის სასმელი წყაროების ექსპლუატაციის ხარისხი, წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მოიმატა როგორც გასხლული ხე მცენარეების რაოდენობამ, ასევე მოჭრილი დაავადებული, ხმელი და ფაუტი ხეების რაოდენობამ, რაც აუცილებელია დაავადებების კერების ლიკვიდაციისთვის.

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ეკოსერვის ჯგუფის“ დაფუძნების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N18.8.66 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 მარტის N20.363.470 განკარგულების შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის საგნებს დაემატა ფიტოსანიტარიული ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო შესაწამლი აგრეგატების სახელმწიფო შესყიდვაზე, 2020 წლის 29 აპრილს გამოცხადებული NAT200007114 ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიამ შეიძინა და უახლოეს მომავალში მიიღებს იტალიური წარმოების (მწარმოებელი კომპანია TIFONE Ambiente Srl) 4 ერთეულ თანამედროვე სტანდარტების შესაწამლ აგრეგატს. უახლოეს მომავალში იგეგმება ბიოლოგიურად სუფთა შესაწამლი პრეპარატების შესყიდვაც. ზემოაღნიშნულის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდება მწვანე ნარგავების ბიოლოგიური და ქიმიური მავნებელი დაავადებებისაგან დაცვისა და შესაბამისი მოვლითი ღონისძიებების ხარისხი.

კომპანიას დაგეგმილი აქვს აქტიურად ჩაერთოს მისი ძირითადი საქმიანობის სპეციფიკის შესაბამის სახელმწიფო შესყიდვებში და მნიშვნელოვნად გაზარდოს შემოსავლები ამ მიმართულებიდან, რისი მოლოდინის საფუძველსაც გვაძლევს მუდმივად განახლებადი მატერიალურ ტექნიკური ბაზა და მზარდი გამოცდილება.

გარდა აღნიშნულისა შემოსავლების ზრდა დაგეგმილია ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებისთვის გასაწევი მომსახურებიდან მიღებული სახსრების ხარჯზე, რისი მოლოდინის საფუძველსაც ასევე გვაძლევს მუდმივად განახლებადი მატერიალურ ტექნიკური ბაზა და საზოგადოებაში კომპანიის ცნობადობის ამაღლება.


სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია კომპანიაში დასაქმებული პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა, რომელიც ითვალისწინებს გაცილებით შეღავათიან პირობებს, ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიკური პირებისთვის. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. დასაქმებულს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შინაგანაწესით ასევე განსაზღვრულია წახალისებისა შემდეგი სახეები: ა) მაღლობის გამოცხადება (პირად საქმეში შეტანით); ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა ან/და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; გ) 10 (ათი) კალენდარულ დღემდე ვადით დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების მიცემა; დ) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა. კომპანია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას.


კომპანიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესი რაოდენობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების დასაქმება. რადგან ორგანიზაციის სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 388 ერთეულს, მათ შორის:

შპს "ეკოსერვის ჯგუფი"-ს თანამშრომელთა გენდერული
სტრუქტურა რაოდენობრივ ტერმინში




შპს "ეკოსერვის ჯგუფი"-ს თანამშრომელთა გენდერული
სტრუქტურის პროცენტული მაჩვენებლები



კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების ასაკობრივი სტრუქტურის დასადგენად გამოყავით სამი ასაკობრივი ჯგუფი: 30 წლამდე; 30–დან 55 წლამდე; 55 წელს ზემოთ


თანამშრომლები. 2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით გამოვლინდა შემდეგი შედეგები:

შპს "ეკოსერვის ჯგუფი"-ს თანამშრომელთა ასაკობრივი სტრუქტურა რაოდენობრივ ქრილში



■ 30 წლამდე ■ 30-დან 55 წლამდე ■ 55 წლის ზევით

შპს "ეკოსერვის ჯგუფი"-ს თანამშრომელთა ასაკობრივი სტრუქტურის პროცენტული მაჩვენებლები



■ 30 წლამდე ■ 30-დან 55 წლამდე ■ 55 წლის ზევით

საზოგადოების ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
პრიოდისთვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	5	2,140,518	10,051,247
სავაჭრო მოთხოვნები	6	121,986	4,290
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	771,973	442,743
წინასწარ გადახდილი ხარჯები	8	1,144,488	555,691
ჯამურად მიმდინარე აქტივები		4,178,965	11,053,971
ფიქსირებული აქტივები	4	7,170,430	1,835,990
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		7,170,430	1,835,990
სულ აქტივები		11,349,395	12,889,961
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	9	82,017	39,155
გადასახდელი გადასახადები	10		58,404
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		82,017	97,559
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		4,378,360	-
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		4,378,360	-
სულ ვალდებულებები		4,460,377	97,559
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,242,516	17,242,516
გაუნაწილებელი მოგება		10,353,498	4,450,114
სულ კაპიტალი		6,889,018	12,792,402
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,349,395	12,889,961

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

პერიოდისთვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2019წ.	12 თვე, 2018წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	1,565,026	98,094
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი		80,550	468,741
სულ შემოსავალი		1,645,576	566,835
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		825,389	289,621
სულ თვითღირებულების ხარჯები		825,389	289,621
მთლიანი მოგება		820,187	277,214
საოპერაციო ხარჯები	12	6,850,610	4,474,213
ცვეთის ხარჯი		753,068	309,100
სულ საოპერაციო ხარჯები		7,603,678	4,783,313
არასაოპერაციო მოგება		880,955	55,985
არასაოპერაციო ზარალი		848	
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		880,107	55,985
მოგება დაბერგვრამდე		(5,903,384)	(4,450,114)
მოგების გადასახადი		-	
წმინდა მოგება		(5,903,384)	(4,450,114)

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	17,242,516	-4,450,114	12,792,402
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,242,516	-4,450,114	12,792,402
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	- 5,903,384	- 5,903,384
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,242,516	- 10,353,498	6,889,018

ფულადი ნაკადების ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

პერიოდისთვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

		31/12/2019		31/12/2018
მოგება დაბეგრვამდე	-	5,903,384	-	4,450,114
კორექტირებები:				
ცვეთა და ამორტიზაცია		753,068		309,100
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	5,150,316	-	4,141,014
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე				
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	-	117,697	-	4,290
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	-	329,230	-	442,743
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	-	588,798	-	555,691
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში		42,862		39,155
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	-	58,404		58,404
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	6,201,582	-	5,046,178
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	-	6,087,507	-	2,145,090
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	6,087,507	-	2,145,090
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
საწესდებო კაპიტალის ზრდა				17,242,516
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდა		4,378,360		
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		4,378,360		17,242,516
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	-	7,910,730		10,051,247
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		10,051,247		
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		2,140,517		10,051,247

გარემოს და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ კომპანია ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1. საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
2. რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
3. დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
4. ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
5. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი;

როგორც საანგარიშო წლის წინა 2018 წელში, გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება. ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ კომპანია მაღალტექნოლოგიური ხის დამაქუცმაცებელი დანადგარის (BANDIT65XP) საშუალებით ხეების სხვლის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი ნაცვლად ნაგავსაყრელზე დაყრისა, გადამუშავდება და გამოიყენება აგროტექნიკურ ღონისძიებებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკების მართვა. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა/გატარება და მონიტორინგი.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების განადგურება/დაზიანების რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით CON190000536 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დაზღვევულია კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება (მათ შორის სპეც ტექნიკა).

ასევე მნიშვნელოვან რისკი ფაქტორს წარმოადგენს სპეც ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

1. ელექტრონული ტენდერის საშუალებით, შესყიდული გვაქვს კომპანიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება, რის შედეგადაც მაქსიმალურად ოპერატიულ ვადებში ხორციელდება დაზიანებული ტექნიკის შეკეთება;
2. პერიოდულად ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.

სხვადასხვა მარაგების და ფასეულობების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვის თავიდან არიდების უზრუნველყოფის მიზნით ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება ძირითადი საშუალებების და მარაგების ინვენტარიზაცია;
2. ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებებზე/სპეც.ტექნიკაზე საგზაო მოძრაობის მონიტორინგი (GPS მონიტორინგი);
3. კომპანიის საწყობში და საწყობის ეზოში დაყენებულია 8 ერთეული სამელთვალეურეო IP კამერა, რომლითაც კონტროლდება სრულად შიდა და გარე ტერიტორია (მათ შორის სპეციალური ტექნიკის ავტოსადგომი).
4. კომპანიის მიერ დადგენილი და გაწერილია მარაგების გახარჯვის პროცედურები (მათ შორის საწყობიდან გატანისა და გატანის შემდგომ პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის) და გახარჯული მარაგების ჩამოწერის სპეციალური ფორმები, რის შედეგადაც მინიმუმამდეა დაყვანილი მუშა პროცესში სასაქონლო მატერიალური ფასეულობების/მარაგების დატაცება და არამიზნობრივი ხარჯვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომპანიაში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი:

1. კომპანიაში შექმნილია სტრუქტურული ერთეული-ინსპექტირების, მონიტორინგისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის პრევენცია, შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმებისა და წესების შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, გადასინჯვა და კომპანიაში დანერგვა;

3. კომპანიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“; „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია ადმინისტრაციული პერსონალისთვის“; „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია სიმაღლეზე მომუშავე პერსონალისთვის“ და „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია ძრავიანი მცირე მექანიზმებით მუშაობისას“, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი როგორც მუშა პროცესის წინ, ასევე მუშა პროცესის დროს და დასრულების შემდეგ განსახორციელებელი ქმედებები.

4. კომპანიაში დასაქმებული არიან შრომის უსაფრთხოების საკითხებში დატრენინგებული თანამშრომლები (ტრენინგი გავლილი აქვთ შემდეგ თემატიკაზე: შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების მიმოხილვა; შრომის უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (მათ შორის ჟურნალების); წარმოება; სამუშაო ადგილზე სამუშაო ადჟურვილობის (მათ შორის მანქანა დანადგარების და სამუშაო ტექნიკის) გამოყენება.; უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები; სახანძრო უსაფრთხოება და საგანგებო მდგომარეობა; პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე (მათ შორის - საფრთხეების იდენტიფიცირება და ინციდენტების რეპორტირება); ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენება; ელექტროუსაფრთხოება; ხელით შესასრულებელი სამუშაოების მინიმალური მოთხოვნები; სიმაღლეზე მუშაობა საერთაშორისოდ აღიარებული სასწავლო მოდულების შესაბამისად; უბედური და საშიში შემთხვევა და პერსონალის ქცევის წესი საწარმოო ტრავმის შემთხვევაში).

შპს ეკოსერვის ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ეკოსერვის ჯგუფი“	3
მოსაზრება.....	3
მოსაზრების საფუძველი	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიში	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12
1.ზოგადი ინფორმაცია	12
2.მომზადების საფუძვლები	13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	30
4- ფიქსირებული აქტივები	32
5. ფული და ფულის ექვივალენტები	33
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	33
7. მარაგები	34
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34
9. გადასახდელი გადასახადები.....	35
10. შემოსავალი	35
11. პირდაპირი ხარჯები.....	35
12. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა	36
13 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	39
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	40

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „ეკოსერვის ჯგუფი“** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს **შპს „ეკოსერვის ჯგუფი“** ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ **შპს „ეკოსერვის ჯგუფი“**-სგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ეკოსერვის ჯგუფი“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა **შპს „ეკოსერვის ჯგუფის“** უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენონ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს **შპს „ეკოსერვის ჯგუფის“** ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **შპს „ეკოსერვის ჯგუფის“** ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს,

ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საზოგადოების შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა საზოგადოება გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნენ საწარმოებმა. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

- კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულების და საქმიანობების ინდივიდუალურ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების

გამოსახატავად. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, ხელმძღვანელობას ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

გარიგების პარტნიორი სალომე კიკნაძე

შპს „თიჯიეს-კკ ჯგუფის“ სახელით

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

18 აგვისტო 2020 წ.

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	5	2,140,518	10,051,247
სავაჭრო მოთხოვნები	6	121,986	4,290
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	771,973	442,743
წინასწარ გადახდილი ხარჯები	8	1,144,488	555,691
ჯამურად მიმდინარე აქტივები		4,178,965	11,053,971
ფიქსირებული აქტივები	4	7,170,430	1,835,990
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		7,170,430	1,835,990
სულ აქტივები		11,349,395	12,889,961
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	9	82,017	39,155
გადასახდელი გადასახადები	10		58,404
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		82,017	97,559
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		4,378,360	-
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		4,378,360	-
სულ ვალდებულებები		4,460,377	97,559
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,242,516	17,242,516
გაუნაწილებელი მოგება		10,353,498	4,450,114
სულ კაპიტალი		6,889,018	12,792,402
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,349,395	12,889,961

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვახტანგ ნოზაძე

18 აგვისტო 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

შალვა შოშიაშვილი

18 აგვისტო 2020

თბილისი, საქართველო

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2019წ.	12 თვე, 2018წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	1,565,026	98,094
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი		80,550	468,741
სულ შემოსავალი		1,645,576	566,835
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		825,389	289,621
სულ თვითღირებულების ხარჯები		825,389	289,621
მთლიანი მოგება		820,187	277,214
საოპერაციო ხარჯები	12	6,850,610	4,474,213
ცვეთის ხარჯი		753,068	309,100
სულ საოპერაციო ხარჯები		7,603,678	4,783,313
არასაოპერაციო მოგება		880,955	55,985
არასაოპერაციო ზარალი		848	
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		880,107	55,985
მოგება დაბერგვამდე		(5,903,384)	(4,450,114)
მოგების გადასახადი		-	
წმინდა მოგება		(5,903,384)	(4,450,114)

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვახტანგ ნოზაძე

18 აგვისტო 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

შალვა შოშიაშვილი

18 აგვისტო 2020

თბილისი, საქართველო

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიში
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	17,242,516	-4,450,114	12,792,402
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,242,516	-4,450,114	12,792,402
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	- 5,903,384	- 5,903,384
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,242,516	- 10,353,498	6,889,018

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
ვახტანგ ნოზაძე
18 აგვისტო 2020
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
შალვა შოშიაშვილი
18 აგვისტო 2020
 თბილისი, საქართველო

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

ფულადი ნაკადების ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

		31/12/2019		31/12/2018
მოგება დაბეგრვამდე	-	5,903,384	-	4,450,114
კორექტირებები:				
ცვეთა და ამორტიზაცია		753,068		309,100
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	-	5,150,316	-	4,141,014
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	-	117,697	-	4,290
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	-	329,230	-	442,743
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	-	588,798	-	555,691
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში		42,862		39,155
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	-	58,404		58,404
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	6,201,582	-	5,046,178
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	-	6,087,507	-	2,145,090
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	6,087,507	-	2,145,090
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
საწესდებო კაპიტალის ზრდა				17,242,516
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდა		4,378,360		
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		4,378,360		17,242,516
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	-	7,910,730		10,051,247
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		10,051,247		
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		2,140,517		10,051,247

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვახტანგ ნოზაძე

18 აგვისტო 2020

მთავარი ბუღალტერი

შალვა მოშიაშვილი

18 აგვისტო 2020

შპს ეკოსერვის ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2018 წლის 22 თებერვალს. საიდენტიფიკაციო კოდი: 404553666. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო N 8 (ნაკვეთი 4/27) .

კომპანიის ძირითად საქმიანობის საგანს წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული დანართ 1-ში ჩამოთვლილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შემთხვევაში ასევე სხვა) გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა, კერძოდ:

ა) გამწვანებული ტერიტორიების და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობა, მათ შორის:

ა.ა. ნიადაგის მომზადება დარგვისათვის ან თესვისათვის, სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის მოჭრა და გატანა, ნიადაგის ნოყიერი ნაზავის მიწოდება, გაშლა და მოსწორება, ნიადაგის გადაბარვა და მოსწორება (პლანირება), მულჩირება, მოხრეშვა;

ა.ბ) მწვანე ნარგავების დარგვა და გადარგვა;

ა.გ) გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა რომელიც მოიცავს: გაზონის, ხვიარა მცენარეების, საყვავილე თარგების (ყვავილნარი), ხეების, ბუჩქების (მათ შორის, ტროტუარი), ქოთნის მცენარეების მოვლას, ტერიტორიის გათიბვას;

ა.დ) ხეების ფორმირებითი, სანიტარული და გამაახალგაზრდავებელი სხვა; ა.ე. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებში მონაწილეობა სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში;

ა.ვ) გამწვანებულ ტერიტორიებზე ყინვისადმი არამდგრადი მცენარეების შეფუთვა, გაზონებისა და ყვავილნარების მოვლა პატრონობა, თბილისის ტერიტორიაზე არსებული ვერტიკალური გამწვანების (მცენარეების) მოვლა-პატრონობა;

ა.ზ) მოვლითი ჭრების განხორციელება, მათ შორის დამფუძნებლის დავალების შემთხვევაში;

ა.თ) სარწყავი სისტემების აღდგენა, მოწყობა და რეაბილიტაცია; ა.ი) თბილისის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და მოწყობა;

ა.კ) სოკოს ფორმის სასმელი წყაროების მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და მოწყობა;

ა.ლ) რეტერატების მოვლა-პატრონობა;

ბ) ფიტოსანიტარიული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის:

ბ.ა) მწვანე ნარგავების ფიტოსანიტარიული კვლევა; ბ.ბ) მწვანე ნარგავების ბიოლოგიური და ქიმიური დაცვა მავნებელი დაავადებებისაგან და შესაბამისი მოვლითი ღონისძიებები, საჭიროებიდან გამომდინარე სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება;

ბ.გ) ხმელი ხეების მოჭრა, კუნძის ამოღება, დამუშავება და გატანა; ბ.დ) დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი, გადაბერებული (ამორტიზებული) და ავარიული ხეებისმოჭრა;

ბ.ე) სპეციალური ჭრების განხორციელება, გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მწვანე ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტების ფარგლებში, მესამე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების ზედამხედველობა; დ) მუნიციპალური სანერგეების მოვლა-პატრონობა და განვითარება; ე) მოჭრილი მწვანე ნარგავებისა და მწვანე ნარჩენების მართვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში;

3.2 კომპანიას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

კომპანიის დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (სნ 204521794)-100%.

კომპანიას საბანკო ანგარიშები ერიცხება შემდეგ ბანკებში:

- ✓ სს„ლიბერთი ბანკი“- გახსნის თარიღი 23.02.2018 დახურვის თარიღი 20.11.2019წ.
- ✓ სს„თიბისი ბანკი“-23.09.2019 წლიდან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა შეადგენს 366-ს.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირია - ვახტანგ ნოზაძე (პნ 01023006125).

2.მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „ფასს“) პირველად გამოყენება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ არის პირველი ანგარიშგებაა, რომელიც საზოგადოებამ ფასს-ის მიხედვით მოამზადა. შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სათანადო ფასს-ების მოთხოვნათა დაცვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესაბამისი პერიოდის შედარებად მონაცემებთან ერთად. საზოგადოებამ წარადგინა წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგება.

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოიცა კონკრეტული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა კომპანიის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ და რომლებიც კომპანიას ადრე არ გამოუყენებია.

ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კაპიტალის დაბანდება - ცვლილებები ფასს 10 - ში და ბასს 28 - ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ს აბჭოს (IASB) მიერ) . აღნიშნული ცვლილებები ეხება შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ს მოთხოვნებს შორის ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან ან დაბანდებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილებების მთავარი შედეგი არის ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნეს საქმიანობას. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარებულია როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნეს საქმიანობას, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია. კომპანია ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 16, იჯარები (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2019 წლის 1 იანვარს). ახალი სტანდარტები განსაზღვრავს იჯარების აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპებს. ყველა იჯარა მოითხოვს მოიჯარისგან აქტივის გამოყენების უფლების მოპოვებას იჯარის ვადის დასაწყისში, და იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო გადასახადების გადახდა ხორციელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე ფინანსური ვალდებულებას. შესაბამისად ფასს 16 გამორიცხავს იჯარების კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარებად ან ფინანსურ იჯარებად, როგორც მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად ნერგავს მოიჯარის აღრიცხვის ერთიან მოდელს. მოიჯარეები ვალდებული არიან აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისთვის 12 თვეზე მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა ცალკე საიჯარო ვალდებულებების პროცენტისგან მოგება / ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 16 ითვალისწინებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნების არსებითად გადატანას ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს იჯარების კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარებად და ფინანსურ იჯარებად და აღნიშნული ორი ტიპის იჯარის აღრიცხვას განსხვავებულად. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასიკ 23 " გაურკვევლობა მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმში " (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) ბასს 12 განსაზღვრავს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს და არა გაურკვევლობის შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განმარტავს ბასს 12-ში აღიარების და შეფასების მოთხოვნების გამოყენების წესს, მოგების საგადასახადო რეჟიმში გაურკვევლობის არსებობის შემთხვევაში. საწარმომ უნდა განსაზღვროს ცალკე განიხილოს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი თუ სხვა ერთ ან მეტ სხვა გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზეც უკეთ მოახდენს მის პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც მას აქვს და ექნება სრული ინფორმაცია ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმო დაასკვნის, რომ ნაკლებ სავარაუდოა საგადასახადო ორგანოებმა მიიღონ გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო შეღავათების ან

საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისას, ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ მოახდენს მის პროგნოზირებას. საწარმო ასახავს ცვლილების ეფექტს ფაქტებსა და გარემოებებში ან ახალი ინფორმაციის ეფექტს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციის მიერ მოთხოვნილ დასკვნებზე ან შეფასებებზე სააღრიცხვო შეფასებაში ცვლილების სახით. ახალი ინფორმაციის ან ცვლილებების მაგალითები ფაქტებსა და გარემოებებში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დასკვნის ან შეფასების გადაფასება, მოიცავს და არა მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ შემოწმებებს ან ქმედებებს, ცვლილებებს საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილ წესებში ან საგადასახადო ორგანოს მიერ დაბეგვრის რეჟიმის გადახედვის ან განმეორებით გადახედვის უფლების ამოწურვას. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება, ცალკე აღებული, სავარაუდოდ არ მოიცავს ცვლილებას ფაქტებში და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დასკვნებსა და შეფასებებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წინასწარ გადახდის თავისებურებები უარყოფითი ანაზღაურებით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის , რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები ითვალისწინებს კონკრეტული სესხების და სავალო ფასიანი ქაღალდების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა მომზადდეს ამორტიზირებულ ღირებულებაზე დაბალ თანხად, მაგალითად რეალური ღირებულებით ან იმ თანხით, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომელიც შეადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის მიმდინარე ღირებულებას ინსტრუმენტის დარჩენილ ვადაში. გარდა ამისა, სტანდარტის დასკვნის საფუძველზე დამატებული ტექსტი დამატებით ადასტურებს არსებულ სახელმძღვანელო პრინციპს ფასს 9-ში, რომ ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული კონკრეტული ფინანსური ვალდებულებების მოდიფიკაციები ან გაცვლები, რომელიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს მოგებას ან ზარალს მოგება-ზარალში. ანგარიშვალდებულ ორგანიზაციებს უმეტეს შემთხვევაში არ ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სესხის დანარჩენ ვადაში მოგებაზე ან ზარალზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სესხის მოდიფიკაციის შემდეგ. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 28- ში „ გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში “ (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წიური პერიოდებისთვის , რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) ცვლილებები ცხადყოფს, რომ ანგარიშვალდებულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ფასს 9 გრძელვადიან სესხებზე, პრივილეგირებულ აქციებზე და მსგავს ინსტრუმენტებზე, რომელიც ქმნის წმინდა ინვესტიციის ნაწილს წილობრივი მონაწილეობის მეთოდით, სანამ ისინი შეძლებენ შეამცირონ აღნიშნული საბალანსო ღირებულება ინვესტიციის ობიექტის ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორების წილის ოდენობას ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია თვლის, რომ აღნიშნული ცვლილებები არსებით გავლენას არ მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წლიური გაუმჯობესებები ფასს - ებში 2015-2017 წლების ციკლში – შესწორებები ფასს 3- ში, ფასს 11 - ში, ბას 12 - ში და ბას 23 ში (გამოიცა 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) ვიწრო ფარგლების მქონე ცვლილებები გავლენას ახდენს ოთხ სტანდარტზე. ფასს 3 განმარტავს, რომ შემძენმა თავიდან უნდა შეაფასოს თავისი მანამდე ფლობილი წილი ერთობლივ საქმიანობაში, როდესაც მოიპოვებს კონტროლის უფლებას კომპანიაზე. ხოლო ფასს პირიქით ზუსტად განმარტავს, რომ ინვესტორმა არ უნდა გადააფასოს მისი მანამდე ფლობილი წილი როდესაც მოიპოვებს კონტროლის უფლებას ერთობლივ საქმიანობაზე, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც ასოცირებული პირი ხდება ერთობლივი საწარმო ან პირიქით. შესწორებული ბასს 12 განმარტავს, რომ საწარმო აღიარებს დივიდენდების ყველა მოგების გადასახადის შედეგებს, როდესაც აღიარებს იმ გარიგებებს ან მოვლენებს, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული გასანაწილებელი მოგება, მაგალითად მოგებაში ან ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ცხადია, რომ აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება ყველა გარემოებაში, რამდენადაც გადახდები ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც კლასიფიცირებულია კაპიტალად, წარმოადგენს მოგების განაწილებას და არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგები წარმოადგენს განაწილებული და გაუნაწილებელი მოგებების სხვადასხვა საგადასახადო განაკვეთების შედეგს. რედაქტირებული ბასს 23 მოიცავს ზუსტ სახელმძღვანელო მითითებას, რომ სპეციალურად განსაზღვრული აქტივის დაფინანსებისთვის მოპოვებული სასესხო სახსრები ამოღებულია საერთო სასესხო ხარჯების პულიდან, რომლის კაპიტალიზაცია ნებადართულია მხოლოდ მანამ, სანამ კონკრეტული აქტივი არსებითად სრული არ იქნება. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 19 - ში “ გეგმის ცვლილება , შემცირება ან ანგარიშსწორება ” (გამოიცა 2018 წლის 7 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) ცვლილებები მიუთითებს როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები, როდესაც განსაზღვრული გადახდების საპენსიო გეგმაში განხორციელდება ცვლილებები. როდესაც გეგმაში - ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება - ხორციელდება, ბასს 19 მოითხოვს დადგენილი გადახდების საპენსიო გეგმის წმინდა ვალდებულების ან აქტივის გადაფასებას. აღნიშნული ცვლილება მოითხოვს ზემოხსენებული გადაფასების შედეგად განახლებული დაშვებების გამოყენებას მიმდინარე მომსახურების ღირებულების და წმინდა პროცენტის განსაზღვრისთვის ანგარიშგების დანარჩენ ვადაში გეგმაში ცვლილების შეტანის შემდეგ. ცვლილებების განხორციელებამდე ბასს 19 არ განმარტავდა აღნიშნული ხარჯების განსაზღვრის წესს მოცემული პერიოდისთვის ცვლილების განხორციელების შემდეგ. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით, ცვლილებები სასარგებლო ინფორმაციას მიაწვდის ფინანსური ანგარიშგების მოხმარებლებს. იქნება. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) გადახედული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელოს ფინანსური ეფექტურობის ანგარიშგების შესახებ; გაუმჯობესებულ დეფინაციებს და სახელმძღვანელო მითითებებს - კერძოდ ვალდებულების დეფინაციას; და განმარტებებს მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ხელმძღვანელობის ფუნქციები, გონივრულობა და შეფასების გაურკვევლობები ფინანსურ ანგარიშგებაში.

საწარმოს განსაზღვრება – ცვლილებები ფასს 3 - ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შესყიდვებისთვის წლიური ანგარიშგების პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც აითვლება 2020 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ) აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს საწარმოს განსაზღვრების გადახედვას. საწარმოს უნდა ჰქონდეს რესურსები და არსებითი პროცესები, რომლებიც ერთობლივად გამოიყენება პროდუქციის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანის სახით. ახალი სახელმძღვანელო წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც შეაფასებს როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის დამწყები კომპანიებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ შექმნილი პროდუქცია. ორგანიზებული სამუშაო ძალა წარმოადგენს საწარმოდ კლასიფიკაციის პირობას პროდუქციის არარსებობის შემთხვევაში. ტერმინის

„პროდუქცია“ განმარტება შემოიფარგლება კლიენტისთვის გაწეულ მომსახურებებზე და საქონელზე ფოკუსირებით, რომელსაც მოაქვს საინვესტიციო შემოსავალი და სხვა შემოსავალი და არ მოიცავს შემოსავლებს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებელის სახით. ასევე აღარ არის საჭირო შეფასდეს შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს გამოტოვებული ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობების და აქტივების ინტეგრაცია. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენს საწარმოს იმ შემთხვევაში, თუ არსებითად ყველა შეძენილი აქტივის რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ცვლილებები არის სამომავლო და კომპანია გამოიყენებს მათ მათი გავლენის შესაფასებლად 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განსაზღვრება – ცვლილებები ბ ასს 1 - ში და ბასს 8 - ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) აღნიშნული ცვლილებები განმარტავს არსებითის განსაზღვრებას და როგორც უნდა იქნას ის გამოყენებული განსაზღვრების სახელმძღვანელოში შეტანით, რომელიც მოცემულ მომენტამდე წარმოდგენილია სხვადასხვა ნაწილებში ფასს-ში. გარდა ამისა გაუმჯობესდა განმარტებები, რომელიც თან ერთვის განსაზღვრებას. და ბოლოს აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ არსებითის განსაზღვრება შეესაბამება ყველა ფასს სტანდარტს. ინფორმაცია არსებითია, თუმისი გამოტოვება, უზუსტობა ან გაურკვეველობა სავარაუდოდ გავლენას მოახდენს იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები მიიღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ორგანოს შესახებ. იქნება. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ სხვაგვარად არ არის ზემოთ განსაზღვრული, არ არის მოსალოდნელი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ყველა პერიოდთან მიმართებაში,

ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საზოგადოებ საქმიანობს. უცხოურ ვალუტაში საზოგადოებას არ აქვს განხორციელებული ფინანსური ოპერაციები.

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის არის განხორციელებული გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული დანართ 1-ში ჩამოთვლილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შემთხვევაში ასევე სხვა) გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობას.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობას. თუ კლიენტი გადახდას განხორციელებს კომპანიის მიერ მისთვის მომსახურების მიწოდებამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს გაფორმებულ ხელშეკრულებას.

(გ) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები

საქართველოში და რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად, ასევე როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშების საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას. ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც ადგილი აქვს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, რომლებიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგების წინასწარ გადახდილი გადასახადების ან სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

(დ) აქტივების და ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

საზოგადოების აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საზოგადოება გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. საზოგადოება ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც საზოგადოებამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS)15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

საზოგადოების ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს საზოგადოება თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, რომლის დროსაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება

გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც საზოგადოება იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით;
- სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნეს მოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები არა წარმოებული ფინანსური აქტივებია, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარდება საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- ამოიწურება აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა; ან
- კომპანია დათმობს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ანდა იტოვებს ამგვარ უფლებას, მაგრამ აიღებს მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას „შეთანხმების“ საფუძველზე; ან

(ა) კომპანია გადასცემს აქტივთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს;

(ბ) კომპანია არც გადასცემს და არც დაიტოვებს აქტივთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მაგრამ გადასცემს აქტივზე კონტროლს.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. როდესაც კომპანიას არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და არც აქტივზე კონტროლი აქვს გადაცემული, ის აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას იმდენად, რამდენადაც კომპანიამასში იქნება ჩართული. ასეთ შემთხვევაში კომპანიი ამასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთანდაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრულია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება მოიცავს მიღებულ ავანსებს და სხვა კრედიტორულ დავალიანებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთ გადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება, ხოლო წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი

მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის, ან ერთდროულად – აქტივების რეალიზაციის და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა.

(iv) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება ხდება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებების შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.

- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივების და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის, საზოგადოებამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ეს ღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ხარჯს, ხარჯის გაწევის დროს, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორც არის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთების გამოყენებით:

შენობა-ნაგებობა	5 %
სატრანსპორტო საშუალებები	20-40 %
სხვა ძირითადი საშუალებები	15%-30%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ზ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე ან შეთანხმება იძლევა აქტივების გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება არ არის მკაფიოდ აღნიშნული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

თვითღირებულება განისაზღვრება „საშუალო შეწონილი“ („Average“) მეთოდით. არარეალიზებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები სრულად ჩამოიწერება ან ასიგნირდება.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკებში.

კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ნებისმიერ ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ანაზღაურების თანხის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. თუმცა, ამ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლებიც არსებით ცვლილებას მოითხოვს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში, რაც მომავალ პერიოდებში იქნება გამოწვეული.

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან

დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საზოგადოება მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ. მომზადების ეს საფუძველი გულისხმობს, რომ დამფუძნებელს შესწევს უნარი და აქვს განზრახვა გასწიოს ფინანსური დახმარება, რომელიც საზოგადოებას მისცემს საშუალებას განახორციელოს მისი აქტივების რეალიზაცია და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

(ii) სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება და დაკორექტირება წმინდა სარეალიზაციო ღირებულების მისაღებად

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ აღმოჩნდა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება ან თუ მოსალოდნელია მომავალ პერიოდში გარკვეული საქონლის გაყიდვა საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, ასეთი აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

(iii) უიმედო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. როგორც წესი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

4- ფიქსირებული აქტივები

	მიწის ნაკვეთი	შენობა ნაგებობები	მანქანა - დანადგარე ბი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი	არამატერიალუ რი აქტივები	ჯამურად
	საშუალებები						
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31/12/2018	-		215,793	1,623,813	279,637	25,847	2,145,090
დანამატები	3,674,900	703,460		1,559,008	156,478		6,093,846
აქტივების ჩამოწერა					6,338		6,338
ბალანსი 31/12/2019	3,674,900	703,460	215,793	3,182,821	442,453	25,847	8,232,598
აკუმულირებული ცვეთა							
ბალანსი 31/12/2018	-	-	1,714	254,564	51,299	1,523	309,100
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი	-	34,120	33,343	581,709	101,312	2,585	753,068
აქტივების ცვეთა ბალანსი 31/12/2019	-	34,120	35,057	836,273	152,611	4,107	1,062,168
წმინდა ღირებულება							
ბალანსი 31/12/2018		-	214,079	1,369,249	228,338	24,325	1,835,990
ბალანსი 31/12/2019	3,674,900	669,340	180,736	2,346,548	289,842	21,740	7,170,430

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიაში არ ხორციელდება ნაღდი ფულის მოძრაობა, ყველა ოპერაცია განხორციელებულია საბანკო ტრანზაქციებით. ფული და ფულის ექვივალენტები 2019-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ლარები საბანკო ანგარიშებზე	2,140,518	10,051,247
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	2,140,518	10,051,247
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	-	-
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	2,140,518	10,051,247

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		4,289.56
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2,388.10	
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	119,598.29	
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	121,986.39	4,289.56
<i>მინუს: გაუფასურების რეზერვი</i>		
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	121,986	4,290

7. მარაგები

კომპანიის მარაგში ასახულია სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი, რომელიც გამოიყენება გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობისას. მარაგები 2019-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	31.12.2019	31.12.2018
სასაქონლო მატერიალური მარაგი	771,973	442,743
ჯამურად სასაქონლო-მატერიალური მარაგები	771,973	442,743

8. წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები 2019-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
წინასწარ გადახდილი საგადასახადო ვალდებულება	1,144,488	555,691
ჯამურად სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,144,488	555,691

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	61,721	33,919
მიღებული ავანსები		2,878
გადასახდელი ხელფასები	20,296	2,359

სულ კრედიტორული დავალიანება	82,017	39,155
-----------------------------	--------	--------

10. გადასახდელი გადასახადები

გადასახდელი გადასახადები 2019-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		58,404
სულ გადასახდელი გადასახადები	-	58,404

11. შემოსავალი

შემოსავლის არსებითი ნაწილი შედგება უძრავი ქონების რეალიზაციისგან, რომელიც 2019-2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ქ.თბილისის მერიაზე განხორციელებული მომსახურების ღირებულება	1,470,818.00	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	94,208.00	98,094.00
განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები		468,741.00
სულ შემოსავალი	1,565,026	566,835

12. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2019-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
დაქირავებულ პირთა გასამჯელო	4,686,385	2,741,608
საკონსულტაციო ხარჯი	17,356	2,611
საგადასახადო ხარჯი	57,995	7,454
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		624
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	1,589,127	1,411,174
იჯარის ხარჯი	16,452	3,138

სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	7,377	307,604
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	3,305	
საწვავის სარგებლის ხარჯი	124,789	
ოფისის მიმდინარე რემონტის ხარჯი	64,498	
საჯარო რეესტრის მომსახურების ხარჯი	1,746	
ავტომობილის დაზღვევის ხარჯი	28,640	
პროგრამული მომსახურება	8,629	
ავტომობილის რემონტის ხარჯები	149,413	
კომპიუტერის ხარჯები	6,228	
ექსპერტიზის ხარჯი	1,966	
საკანცელარიო ხარჯი	3,127	
საპენსიო სააგენტოს ხარჯი	65,673	
ჰიგიენური მასალების ხარჯი	14,097	
მივლინების ხარჯები	3,807	
სულ პირდაპირი ხარჯები	6,850,610	4,474,213

13. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, საზოგადოება დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების

ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	2019	2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	121,986	4,290
ფული და ფულადი ექვივალენტები	2,140,518	10,051,247
სულ ფინანსური აქტივები	2,262,504	10,055,537

ფინანსური ვალდებულებები	2019	2018
სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	82,017	39,155
სულ ფინანსური ვალდებულებები	82,017	39,155

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის

შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

საკრედიტო რისკი		
ფინანსური აქტივები	2019	2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	121,986	4,290
ფული და ფულადი ექვივალენტები	2,140,518	10,051,247
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	2,262,504	10,055,537

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტორისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

14 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს არ განხორციელებულა ოპერაციები.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.



შპს „ეკოსერვის ჯგუფი“

2019 წლის მმართველობის ანგარიშგება



სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საფირმო სახელწოდება: შპს „ეკოსერვის ჯგუფი“;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404553666;

100% წილის მმართველი -საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი;

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 8;

ელექტრონული ფოსტა: info@ecosg.gov.ge;

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. დირექტორის მიმართვა.
2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა
3. კომპანიის ქონება და კაპიტალი
4. კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა
5. კომპანიის სტრუქტურა
6. კომპანიის მატერიალურ ტექნიკური ბაზა
7. კომპანიის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები
8. მიღწეული შედეგები და განვითარების გეგმები
9. სოციალური და დასაქმების საკითხები
10. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
11. გარემოს და ნარჩენების მართვა
12. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ძვირფასო პარტნიორებო, ფინანსური და
მმართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს
კანონის შესაბამისად წარმოგიდგენთ შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს 2019 წლის ანგარიშს

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს დირექტორი:

ვახტანგ ნოზაძე

საქმიანობის ანგარიში

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში-კომპანია) შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (შემდგომში - მთავრობა) 2018 წლის 21 თებერვლის N18.8.66 განკარგულების საფუძველზე (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი - 2018 წლის 22 თებერვალი). კომპანია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით;

2019 წელს მოქმედი კომპანიის წესდების შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის საგანს, წარმოადგენდა თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული კომპანიის წესდებით განსაზღვრული (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შემთხვევაში ასევე სხვა) გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა, მათ შორის: ნიადაგის მომზადება დარგვისათვის ან თესვისათვის, სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის მოჭრა და გატანა, ნიადაგის ნოყიერი ნაზავის მიწოდება, გაშლა და მოსწორება, ყამირი მიწის მიწოდება, გაშლა და მოსწორება, ნიადაგის გადაბარვა და მოსწორება (პლანირება), მულჩირება, მოხრეშვა; კომპეტენციის ფარგლებში მწვანე ნარგავების დარგვა და გადარგვა; მწვანე ნარგავების ბიოლოგიური და ქიმიური დაცვა მავნებელი დაავადებებისაგან და შესაბამისი მოვლითი ღონისძიებები, საჭიროებიდან გამომდინარე სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება; მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებში მონაწილეობა სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მწვანე ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტების ფარგლებში, მესამე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების (მოვლა-პატრონობა) განხორციელების ზედამხედველობა, დამფუძნებლის დავალების შესაბამისად; გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა რომელიც მოიცავს: გაზონის, ხვარა მცენარეების, საყვავილე თარგების (ყვავილნარი), ხეების, ბუჩქების (მათ შორის, ტროტუარი), ქოთნის მცენარეების მოვლას, ტერიტორიის გათიბვას, რეტერატების მოვლა-პატრონობას; გამწვანებულ ტერიტორიებზე ყინვისადმი არამდგრადი მცენარეების შეფუთვა, ხმელი ხეების მოჭრა, კუნძის ამოღება, დამუშავება და გატანა, გაზონებისა და ყვავილნარების მოვლა პატრონობა, თბილისის ტერიტორიაზე არსებული ვერტიკალური გამწვანების (მცენარეების) მოვლა-პატრონობა; „ყვავილების საათის“ ტერიტორიაზე არსებული მცენარეების მოვლა-პატრონობა; ხეების ფორმირებითი, სანიტარული და გამაახალგაზრდავებელი სხვა; სპეციალური ჭრების განხორციელება, მათ შორის დამფუძნებლის დავალების შემთხვევაში; დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი, გადაბერებული

(ამორტიზებული) და ავარიული ხეების მოჭრა, მოვლითი ჭრების განხორციელება; მოჭრილი მწვანე ნარგავებისა და მწვანე ნარჩენების მართვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში; მუნიციპალური სანერგეს მოვლა-პატრონობა და განვითარება; თბილისის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების მოვლა პატრონობა; სოკოს ფორმის სასმელი წყაროების მოვლა პატრონობა. კომპანიას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განხორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებით გათვალისწინებული.

კომპანიის ქონება და კაპიტალი

კომპანიის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობები, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისთვის. კომპანიის ქონება შეიძლება იყოს: დამფუძნებლის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ქონება; კომპანიის მიერ შეძენილი ქონება; ქონების მიღების სხვა წყაროები, რაც არ იკრძალება მოქმედი კანონმდებლობით;

კომპანიის შემოსავლის წყაროებია: დამფუძნებლის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ფულადი სახსრები; საკუთარი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები; სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბანკების, სხვა საფინანსო დაწესებულებების, საწარმოების, გაერთიანებების, ფონდების, სპონსორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეულ პირთა შემოწირულობანი; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

კომპანიას დამფუძნებლის მიერ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული აქვს შემდეგი სახის უძრავი ქონება:

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)
1	შენობა ნაგებობა N1	ქ. თბილისი, ქუჩა სამღერეთი N3	01.12.14.096.009	187.47
2	შენობა ნაგებობა N2			187.8
3	შენობა ნაგებობა N3			321.49
4	შენობა ნაგებობა N4			1585.03
5	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			20131
6	შენობა ნაგებობა N2-ის მეორე სართულის ნაწილი	ქ. თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N76	01.14.10.002.050	174.66
7	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			მე-6 პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი

8	შენიშვნა ნაგებობა N1-ში მესამე სართულის ნაწილი			260.99
9	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)	ქ. თბილისი, ქუჩა სანაპირო N8	01.15.03.004.027	მე-8 პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი
10	შენიშვნა ნაგებობა N1			293.52
11	შენიშვნა ნაგებობა N2			298
12	შენიშვნა ნაგებობა N3	ქ. თბილისი, თბილისის ზღვა, სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ	01.12.10.007.042	275.86
13	შენიშვნა ნაგებობა N4			71.66
14	შენიშვნა ნაგებობა N5			19.92
15	შენიშვნა ნაგებობა N6			28.14
16	შენიშვნა ნაგებობა N7			1462.38
17	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			62252
18	ბინა N34			80
19	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)	ქ. თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი N30	01.10.17.023.001.00.01.503	18-ე პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი
20	ბინა N35			85.38
21	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)	ქ. თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი N36	01.10.17.023.001.01.01.035	20-ე პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი

კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა


კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას სრულად ახორციელებს დირექტორი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი (კომპანიის დირექტორი დანიშნულია მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N18.9.67 განკარგულების საფუძველზე), დირექტორი ინიშნება უვადოდ ან დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული ვადით.

კომპანიის დირექტორი: მოქმედებს კომპანიის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში; კომპანიის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს; კომპანიის მიზნების მისაღწევად იყენებს კომპანიის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ქონებას, მატერიალურ სახსრებს, წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იძენს და განკარგავს ქონებას, ამასთან კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივ და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე; ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს კომპანიის საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას; ამტკიცებს კომპანიის შინაგანაწესს,

საჭიროების შემთხვევაში თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებს; დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს; დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს საშტატო ნუსხას, შტატგარეშე თანამშრომელთა ზღვრულ ოდენობას და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს; დამფუძნებლის თანხმობით ამტკიცებს შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების ოდენობას; ნიშნავს და ათავისუფლებს კომპანიის თანამშრომლებს, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, ახდენს მათ შორის ფუნქციების გადანაწილებას, განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს; საჭიროების შემთხვევაში ქმნის საკონსულტაციო ორგანოებს (საბჭო, კომისია, სამუშაო ჯგუფი) და განსაზღვრავს მათ ფუნქციებს; დამფუძნებლის თანხმობით ამტკიცებს ლოგოს და სახვა ოფიციალურ სიმბოლიკას; დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ; ამტკიცებს კომპანიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს; დამფუძნებელთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კომპანიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებს; საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს და დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს კომპანიის მიერ გასაწევი მომსახურების ტარიფებს; კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ბრძანებებს; ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის სტრუქტურა წესდების შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგნაირად:



კომპანიის შინაგანაწესი (შემდგომში - „შინაგანაწესი“) შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზნებია: ა) კომპანიისათვის დაკისრებული ფუნქციების და ამოცანების სრულყოფილად განხორციელების ხელშეწყობა; ბ) შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა; გ) სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება; დ) სამსახურებრივ მოვალეობათა ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა; ე) დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენის ხელშეწყობა; ვ) დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრა; ზ) კონკურსის მეშვეობით დასაქმებულთა შერჩევისას კონკურსის ჩატარების ორგანიზება; თ) დასაქმებულთა წახალისებისა და დისციპლინური

პასუხისმგებლობის საკითხების განსაზღვრა; ი) კომპანიის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით დეტალურადაა გაწერილი თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობები, ხოლო დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ასევე დეტალურად განსაზღვრავს მათ სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმას.

კომპანიის მატერიალურ ტექნიკური ბაზა

ზემოაღნიშნული მიზნების უზრუნველსაყოფად დამფუძნებლის მიერ კომპანიის კაპიტალში 2018 წელს შეტანილი იქნა და უსასყიდლოდ გადაეცა მეორადი გამოყენების 26 ერთეული სპეციალური დანიშნულებისა ავტოსატრანსპორტო საშუალება და კომპანიის საქმიანობისთვის საჭირო სხვადასხვა სახის მრავიანი მცირე მექანიზმი. გარდა აღნიშნულისა კომპანიამ დროის მოკლე პერიოდში (2018 წელსვე) შეძლო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და კვალიფიციური კადრების მოზიდვა, კერძოდ 2018 წლის პერიოდში შეძენილი იქნა 10 ერთეული გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე (ავსტრია VIKING); 20 ერთეული ბუჩქების ბენზოსაკრეჭი (12 ერთეული გერმანია STIHL და 8 ერთეული შვედეთი/Husqvarna); 60 ერთეული ბენზოცელი (გერმანია STIHL); 23 ერთეული ბადის ბენზო-მტვერსასრუტი შესრუტვის და დაბერვის ფუნქციით (შვედეთი/Husqvarna); 2 ერთეული ბენზოხერხი არბორისტის (შვედეთი/Husqvarna); 4 ერთეული ბენზოხერხი პროფესიონალური დანიშნულების (შვედეთი/Husqvarna); 5 ერთეული ტელესკოპური ბენზოხერხი რეგულირებადი ღერძით ხის გასასხლავად ((შვედეთი/Husqvarna); 5 ერთეული ტელესკოპური ბენზო ბუჩქების საკრეჭი (შვედეთი/Husqvarna); 1 ერთეული ექსკავატორ დამტვირთველი (JCB 3CX Eco Super Sitemaster); 4 ერთეული თვითმცლელი (3 ერთეული DAF LF და და 1 ერთეული IVECO DAILY); 2 ერთეული ამწე კალათა (IVECO); 4 ერთეული თვითმცლელი (FORD TRANZIT), 1 ერთეული მიკროავტობუსი (MERCEDES SPRINTER); 2 ერთეული ხელის მოტობლოკი (კულტივატორი HYUNDAI GM135F) და 1 ერთეული KÄRCHER-ის ფირმის მაღალი წნევით რეცხვის აპარატი. ამასთან კომპანია აღიჭურვა მაღალი ხარისხის ხელსაწყოებით (როგორიცაა მაგალითად ბარები, თოხები, ფოცხები და სხვა სახის ხელის ხელსაწყოები). კომპანიის თანამშრომლებისთვის შეძენილი იქნა თანამედროვე დიზაინისა და სპეციფიკაციის სპეც.ტანსაცმელი და დამცავი აღჭურვილობა. რაც შეეხება 2019 საანგარიშო წელს, კომპანიის მიერ შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები და მატერიალური ფასეულობები, მათ შორის:

N	შესყიდული საქონლის			რაოდენობა	ღირებულება	ტენდერის ნომერი რის საშუალებითაც განხორციელდა შესყიდვა
	დასახელება	მწარმოებელი კომპანია	მარკა/მოდელი			
1	მსუბუქი ავტომობილი	TOYOTA	PRIUS	1	22222	NAT190023595
2	ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი მინი ექსკავატორ- დამტვირთველი	J C Bamford Excavators Limited.	JCB 1CX.	1	146174	NAT190004769
3	თვითმცლელი მისაბმელი	PALAZOGLU	TRA.S.1000	1	6500	NAT190007857
4	თვითმცლელი	MERCEDES-BENZ	VARIO 814D	1	35100	NAT190009313
5	ევაკუატორი	MERCEDES-BENZ	VARIO 814D	1	27000	NAT190009314
6	ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალება (ამწე კალათა)	IVECO	IVECO DAILY 70C15	2	406 740	NAT190015147
7	ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი თვითმცლელი	IVECO	IVECO DAILY 70C15	3	447 000	NAT190015147
8	ფურგონი	FORD	FORD TRANSIT	1	20300	NAT190022396
9	მიკროავტობუსი	FORD	FORD TRANSIT	1	27000	NAT190022571
10	არბორისტის ბენზოხერხი	Husqvarna	Husqvarna T435	8	6320	NAT190007231
11	პროფესიონალური დანიშნულების ბენზოხერხი	Husqvarna	Husqvarna 450	11	8701	NAT190007231
12	პროფესიონალური დანიშნულების ბენზოხერხი	Husqvarna	Husqvarna 372XP	6	8340	NAT190007231
13	ტელესკოპური ბენზოხერხი რეგულირებადი ღერძით ხის გასასხლავად	Husqvarna	Husqvarna 525PT5S	9	12105	NAT190007231
14	ბენზოსაკრეჭი (ბუჩქების)	Husqvarna	Husqvarna 226HD75S	7	7700	NAT190007231
15	ტელესკოპური ბენზო ბუჩქების საკრეჭი	Husqvarna	Husqvarna 325HE4	5	7075	NAT190007231
16	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	Husqvarna	Husqvarna LC140S	5	4195	NAT190011525
17	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	McCulloch	McCulloch M51-150 WR	12	10632	NAT190011525
18	ბენზოცელი	McCulloch	McCulloch B43 BT	20	11300	NAT190011525
19	ბენზოცელი	STIHL	STIHL FS 250	34	27200	NAT190015494
20	ბენზოცელი	STIHL	STIHL FS 560 C-EM	2	4940	NAT190015494
21	პროფესიონალური დანიშნულების ბენზოხერხი	STIHL	STIHL MS 462	13	22789	NAT190021739
22	პროფესიონალური დანიშნულების ბენზოხერხი	STIHL	STIHL MS 250	5	5005	NAT190021739

23	ბენზოსაკრეჭი (ბუჩქების)	STIHL	STIHL HS 82 T	10	13300	NAT190021739
24	ტელესკოპური ბენზო ბუჩქების საკრეჭი	STIHL	STIHL HL 92 C-E	5	7945	NAT190021739
25	ტელესკოპური ბენზოხეხი რეგულირებადი ღერძით ხის გასასხლავად	STIHL	STIHL HT 103	5	8315	NAT190021739
26	ბენზოცელი	STIHL	STIHL FS 250	39	33540	NAT190021821
27	ბენზოცელი	STIHL	STIHL FS 560 C-M	1	2770	NAT190021821
28	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	STIHL	STIHL RM 443 T	4	4880	NAT190021821
29	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	STIHL	STIHL RM 248 T	21	20979	NAT190021821
30	ბაღის ბენზო-მტვერსასრუტი შესრუტვის და დაბერვის ფუნქციით	STIHL	STIHL SH 56	7	6993	NAT190022078
31	წყლის ტუმბო	HYUNDAI	3 HWP80	7	8540	NAT190014020
32	ჩაძირული ძრავი "ამფიბია"	PEDROLLO	MC 30/50	10	23700	NAT190018436
33	ჩაძირული ძრავი "ამფიბია"	PEDROLLO	BCM 15/50-N	10	11550	NAT190018436
34	ჩაძირული ძრავი "ამფიბია"	SHIMGE	QDX30-6-0.75 K1	5	3750	NAT190018436
35	ტუმბო-ძრავით.	SHIMGE	SHFm 5AM	5	4970	NAT190018436
36	JCB 3CXS14M2NM მარკის ექსკავატორის თავსებადი 1 ცალი ჰიდრავლიკური საბურღი მექანიზმი, 3 ცალი ბურღის პირი და 1 ცალი პალეტის ასაწევი ჩანგალი.	Auger Torque Europe Ltd პალეტის ასაწევი ჩანგლები: J C Bamford Excavators Limited (JCB)	8000 MAX		34487	NAT190002544

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, შესყიდული იქნა 109217 ლარის პოლიეთილენის მილები, მფკვევანები, მილების შემაერთებლები და მილების სხვადასხვაგვარი არმატურა; 20500 ლარის სხვადასხვა სახის სასუქი და სხვა სახის მარაგები/მატერიალური ფასეულობები.

კომპანიის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

NAT190014530 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები საერთო ღირებულებით 58976 ლარი.

NAT190017248 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორპ. 325-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში ახალი შადრევნის მოწყობის სამუშაოები, ხოლო NAT190018149 და NAT190018205 ელექტრონული ტენდერების საშუალებით განხორციელდა მ. ჩიტაიას N1-ში ვ. ჭაბუკიანის სახელობის ბაღში (ლონდონის სკვერი) მდებარე შადრევნის, 300 არაგველის ბაღში მდებარე შადრევნის, ჟ.კალანდაძის სახელობის სკვერში მდებარე

შადრევნის (ქანდაკებით) და რუსთაველის ქ. N25-ში (ოპერის ბაღში) მდებარე შადრევნის (ქანდაკებებით) რეაბილიტაციის სამუშაოები. გარდა ჩამოთვლილისა, კომპანიის შიდა რესურსის საშუალებით მუდმივ რეჟიმში ხორციელდება დაზიანებულ შადრევნების აღდგენითი სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებულ სოკოს ფორმის სასმელი წყაროებზე დამონტაჟდა თანამედროვე დიზაინის მქონე სპეციალური ონკანები, რამაც გამოიწვია ერთის მხრივ მოხმარებული წყლის მნიშვნელოვანი ეკონომია, ხოლო მეორეს მხრივ ზემოაღნიშნული წყაროების ვიზუალური ხარისხის ამაღლება.

მიღწეული შედეგები და განვითარების გეგმები

ზემოაღნიშნულის შედეგად, 2019 წელს კიდევ უფრო მეტად ამაღლდა პარკების, გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის, შადრევნების და სოკოს ფორმის სასმელი წყაროების ექსპლუატაციის ხარისხი, წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მოიმატა როგორც გასხლული ხე მცენარეების რაოდენობამ, ასევე მოჭრილი დაავადებული, ხმელი და ფაუტი ხეების რაოდენობამ, რაც აუცილებელია დაავადებების კერების ლიკვიდაციისთვის.

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ეკოსერვის ჯგუფის“ დაფუძნების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N18.8.66 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 მარტის N20.363.470 განკარგულების შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის საგნებს დაემატა ფიტოსანიტარიული ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო შესაწამლი აგრეგატების სახელმწიფო შესყიდვაზე, 2020 წლის 29 აპრილს გამოცხადებული NAT200007114 ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიამ შეიძინა და უახლოეს მომავალში მიიღებს იტალიური წარმოების (მწარმოებელი კომპანია TIFONE Ambiente Srl) 4 ერთეულ თანამედროვე სტანდარტების შესაწამლ აგრეგატს. უახლოეს მომავალში იგეგმება ბიოლოგიურად სუფთა შესაწამლი პრეპარატების შესყიდვაც. ზემოაღნიშნულის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდება მწვანე ნარგავების ბიოლოგიური და ქიმიური მავნებელი დაავადებებისაგან დაცვისა და შესაბამისი მოვლითი ღონისძიებების ხარისხი.

კომპანიას დაგეგმილი აქვს აქტიურად ჩაერთოს მისი ძირითადი საქმიანობის სპეციფიკის შესაბამის სახელმწიფო შესყიდვებში და მნიშვნელოვნად გაზარდოს შემოსავლები ამ მიმართულებიდან, რისი მოლოდინის საფუძველსაც გვაძლევს მუდმივად განახლებადი მატერიალურ ტექნიკური ბაზა და მზარდი გამოცდილება. გარდა აღნიშნულისა შემოსავლების ზრდა დაგეგმილია ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებისთვის გასაწევი მომსახურებიდან მიღებული სახსრების ხარჯზეც, რისი მოლოდინის საფუძველსაც ასევე გვაძლევს მუდმივად განახლებადი მატერიალურ ტექნიკური ბაზა და საზოგადოებაში კომპანიის ცნობადობის ამაღლება.


სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია კომპანიაში დასაქმებული პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა, რომელიც ითვალისწინებს გაცილებით შეღავათიან პირობებს, ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიკური პირებისთვის. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. დასაქმებულს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შინაგანაწესით ასევე განსაზღვრულია წახალისებისა შემდეგი სახეები: ა) მაღლობის გამოცხადება (პირად საქმეში შეტანით); ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა ან/და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; გ) 10 (ათი) კალენდარულ დღემდე ვადით დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების მიცემა; დ) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა. კომპანია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას.


კომპანიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესი რაოდენობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების დასაქმება. რადგან ორგანიზაციის სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 388 ერთეულს, მათ შორის:

შპს "ეკოსერვის ჯგუფი"-ს თანამშრომელთა გენდერული სტრუქტურა რაოდენობრივ ჭრილში




შპს "ეკოსერვის ჯგუფი"-ს თანამშრომელთა გენდერული სტრუქტურის პროცენტული მაჩვენებლები




კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების ასაკობრივი სტრუქტურის დასადგენად გამოვყავით სამი ასაკობრივი ჯგუფი: 30 წლამდე; 30–დან 55 წლამდე; 55 წელს ზემოთ

თანამშრომლები. 2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით გამოვლინდა შემდეგი შედეგები:

შპს "ეკოსერვის ჯგუფი"-ს თანამშრომელთა ასაკობრივი სტრუქტურა რაოდენობრივ ჭრილში



შპს "ეკოსერვის ჯგუფი"-ს თანამშრომელთა ასაკობრივი სტრუქტურის პროცენტული მაჩვენებლები



საზოგადოების ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
პერიოდისთვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	5	2,140,518	10,051,247
სავაჭრო მოთხოვნები	6	121,986	4,290
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	771,973	442,743
წინასწარ გადახდილი ხარჯები	8	1,144,488	555,691
ჯამურად მიმდინარე აქტივები		4,178,965	11,053,971
ფიქსირებული აქტივები	4	7,170,430	1,835,990
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		7,170,430	1,835,990
სულ აქტივები		11,349,395	12,889,961
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	9	82,017	39,155
გადასახდელი გადასახადები	10		58,404
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		82,017	97,559
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		4,378,360	-
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		4,378,360	-
სულ ვალდებულებები		4,460,377	97,559
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,242,516	17,242,516
გაუნაწილებელი მოგება		10,353,498	4,450,114
სულ კაპიტალი		6,889,018	12,792,402
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,349,395	12,889,961

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

პერიოდისთვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2019წ.	12 თვე, 2018წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	1,565,026	98,094
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი		80,550	468,741
სულ შემოსავალი		1,645,576	566,835
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		825,389	289,621
სულ თვითღირებულების ხარჯები		825,389	289,621
მთლიანი მოგება		820,187	277,214
საოპერაციო ხარჯები	12	6,850,610	4,474,213
ცვეთის ხარჯი		753,068	309,100
სულ საოპერაციო ხარჯები		7,603,678	4,783,313
არასაოპერაციო მოგება		880,955	55,985
არასაოპერაციო ზარალი		848	
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		880,107	55,985
მოგება დაბერგვრამდე		(5,903,384)	(4,450,114)
მოგების გადასახადი		-	
წმინდა მოგება		(5,903,384)	(4,450,114)

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
პერიოდისთვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	17,242,516	-4,450,114	12,792,402
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,242,516	-4,450,114	12,792,402
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	- 5,903,384	- 5,903,384
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,242,516	- 10,353,498	6,889,018

ფულადი ნაკადების ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

პერიოდისთვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

		31/12/2019		31/12/2018
მოგება დაბეგრვამდე	-	5,903,384	-	4,450,114
კორექტირებები:				
ცვეთა და ამორტიზაცია		753,068		309,100
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	-	5,150,316	-	4,141,014
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	-	117,697	-	4,290
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	-	329,230	-	442,743
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	-	588,798	-	555,691
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში		42,862		39,155
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	-	58,404		58,404
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	6,201,582	-	5,046,178
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	-	6,087,507	-	2,145,090
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	6,087,507	-	2,145,090
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
საწესდებო კაპიტალის ზრდა				17,242,516
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდა		4,378,360		
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		4,378,360		17,242,516
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	-	7,910,730		10,051,247
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		10,051,247		
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		2,140,517		10,051,247

გარემოს და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ კომპანია ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1. საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
2. რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
3. დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
4. ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
5. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი;

როგორც საანგარიშო წლის წინა 2018 წელში, გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება. ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ კომპანია მაღალტექნოლოგიური ხის დამაქუცმაცებელი დანადგარის (BANDIT65XP) საშუალებით ხეების სხვლის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი ნაცვლად ნაგავსაყრელზე დაყრისა, გადამუშავდება და გამოიყენება აგროტექნიკურ ღონისძიებებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკების მართვა. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა/გატარება და მონიტორინგი.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების განადგურება/დაზიანების რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით CON190000536 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დაზღვევულია კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება (მათ შორის სპეც ტექნიკა).

ასევე მნიშვნელოვან რისკი ფაქტორს წარმოადგენს სპეც ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

1. ელექტრონული ტენდერის საშუალებით, შესყიდული გვაქვს კომპანიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება, რის შედეგადაც მაქსიმალურად ოპერატიულ ვადებში ხორციელდება დაზიანებული ტექნიკის შეკეთება;
2. პერიოდულად ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.

სხვადასხვა მარაგების და ფასეულობების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვის თავიდან არიდების უზრუნველყოფის მიზნით ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება ძირითადი საშუალებების და მარაგების ინვენტარიზაცია;
2. ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებებზე/სპეც.ტექნიკაზე საგზაო მოძრაობის მონიტორინგი (GPS მონიტორინგი);
3. კომპანიის საწყობში და საწყობის ეზოში დაყენებულია 8 ერთეული სამელთვალეურეო IP კამერა, რომლითაც კონტროლდება სრულად შიდა და გარე ტერიტორია (მათ შორის სპეციალური ტექნიკის ავტოსადგომი).
4. კომპანიის მიერ დადგენილი და გაწერილია მარაგების გახარჯვის პროცედურები (მათ შორის საწყობიდან გატანისა და გატანის შემდგომ პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის) და გახარჯული მარაგების ჩამოწერის სპეციალური ფორმები, რის შედეგადაც მინიმუმამდეა დაყვანილი მუშა პროცესში სასაქონლო მატერიალური ფასეულობების/მარაგების დატაცება და არამიზნობრივი ხარჯვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომპანიაში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი:

1. კომპანიაში შექმნილია სტრუქტურული ერთეული-ინსპექტირების, მონიტორინგისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის პრევენცია, შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმებისა და წესების შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, გადასინჯვა და კომპანიაში დანერგვა;

3. კომპანიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“; „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია ადმინისტრაციული პერსონალისთვის“; „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია სიმალლეზე მომუშავე პერსონალისთვის“ და „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია პრაქტიკული მცირე მექანიზმებით მუშაობისას“, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი როგორც მუშა პროცესის წინ, ასევე მუშა პროცესის დროს და დასრულების შემდეგ განსახორციელებელი ქმედებები.

4. კომპანიაში დასაქმებული არიან შრომის უსაფრთხოების საკითხებში დატრენინგებული თანამშრომლები (ტრენინგი გავლილი აქვთ შემდეგ თემატიკაზე: შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების მიმოხილვა; შრომის უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (მათ შორის ჟურნალების); წარმოება; სამუშაო ადგილზე სამუშაო ადგილის უსაფრთხოების (მათ შორის მანქანა დანადგარების და სამუშაო ტექნიკის) გამოყენება.; უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები; სახანძრო უსაფრთხოება და საგანგებო მდგომარეობა; პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე (მათ შორის - საფრთხეების იდენტიფიცირება და ინციდენტების რეპორტირება); ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენება; ელექტროუსაფრთხოება; ხელით შესასრულებელი სამუშაოების მინიმალური მოთხოვნები; სიმალლეზე მუშაობა საერთაშორისოდ აღიარებული სასწავლო მოდულების შესაბამისად; უბედური და საშიში შემთხვევა და პერსონალის ქცევის წესი საწარმოო ტრავმის შემთხვევაში).